

-საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 1

კ ე რ ძ ო

ნ ა წ ი ლ ი

1. ეკონომიკური დანაშაული

- ავტომობილის გატაცება დროებითი სარგებლობის მიზნით
- მითვისება ან გაფლანგვა
- ნივთის დაზიანება ან განადგურება
- ქონების დაზიანება მოტყუებით

2. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

- ბანდიტიზმი
- ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება ან გასაღება
- ხულიგნობა (ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით)

1. ეკონომიკური დანაშაული

მითვისება ან გაფლანგვა

განჩინება

#1818-აპ

25 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მენიშვილი,

ლ. მურუსიძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. რ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - გ. ზ-შვილისა და მ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით ვ. რ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« და „დ« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა თავის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, ჩადენილი არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში მყოფი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა დიდი ოდენობით; მანვე ჩაიდინა მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; მანვე ჩაიდინა მოხელის მიერ არაერთგზის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ვ. რ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ვ. რ-ძე, 2002 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა რა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორად, „საჯარო სამსახურის შესახებ« საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე ითვლებოდა მოხელედ. მის სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს „საქართველოს ტყის კოდექსის«, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 14 სექტემბრის #10\92 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის 2001 წლის 27 ივნისის #84 „სამასალე ხე-ტყის (მორების) საბაზრო ფასების შესახებ« ბრძანების საფუძველზე წარმოადგენდა ჩამორთმეული (სეკვესტრირებული) ხე-ტყის კანონით დადგენილი წესით რეალიზაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, ვ. რ-ძემ განიზრახა, ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის უპირატესობის მისანიჭებლად მოეხდინა ჩამორთმეული (სეკვესტრირებული) ხე-ტყის რეალიზაცია ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის 2001 წლის 27 ივნისის #84 ბრძანებით დადგენილ საბაზრო ფასებთან შეუსაბამოდ დაბალ ფასში და ამ გზით გაეფლანგა სახელმწიფო ქონება.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ვ. რ-ძემ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით „საქართველოს ტყის კოდექსის« 114-ე მუხლისა და საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის 2001 წლის 27 ივნისის #84 ბრძანების დარღვევით 2002 წლიდან 2005 წლამდე დროის მონაკვეთში 167მ³ სეკვესტრირებული ხე-ტყის რეალიზაცია, ნაცვლად 16 712 ლარისა, მოახდინა 5 024 ლარად. ვ. რ-ძემ, მიანიჭა რა უპირატესობა ცალკეულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, გაფლანგა დიდი ოდენობით თანხა და სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 11 688 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნულის შემდეგ ვ. რ-ძე 2006 წლის 8 მარტიდან 2006 წლის 5 მაისამდე მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორად და „საჯარო სამსახურის შესახებ« საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ითვლებოდა მოხელედ. მის სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს „საქართველოს ტყის კოდექსის« და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე წარმოადგენდა: ტყის ფონდის დაცვა, ტყით სარგებლობის წესების დამრღვევთა მიმართ ზომების გატარება, ხე-ტყის უკანონოდ ჭრის ფაქტებზე სათანადო რეაგირება და მასალების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნა. მიუხედავად აღნიშნულისა, ვ. რ-ძემ განიზრახა ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის უპირატესობის მისანიჭებლად ბაღდათის სატყეო მეურნეობის თანამშრომელთა მიერ ხე-ტყის უკანონოდ

ჭრის გამოვლენილი ფაქტების შესახებ მასალები არ გადაეგზავნა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამ გზით გაეფლანგა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება. კერძოდ, 2006 წლის 8 მარტიდან 2006 წლის 5 მაისამდე დროის მონაკვეთში ბაღდათის სატყეო მეურნეობის თანამშრომელთა მიერ ხე-ტყის უკანონოდ ჭრის გამოვლენილი 58 შემთხვევიდან (ტყისთვის მიყენებული ზიანით – 29 812 ლარი) მან სამართალდამცავ ორგანოებში სათანადო რეაგირებისათვის მასალები გადაგზავნა მხოლოდ 34 შემთხვევაში 16 436 ლარის ზიანით, ხოლო დარჩენილი 24 შემთხვევა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დატოვა სათანადო რეაგირების გარეშე, რითიც სახელმწიფოს მიაყენა 13 375 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორმა ვ. რ-მემ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის #99 ბრძანებით დამტკიცებული „უკანონო ტყით სარგებლობის შედეგად ზიანის გაანგარიშების წესის შესახებ« დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რომლითაც „ზიანის ანაზღაურება არავის არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, ისევე როგორც პასუხისმგებლობაში მიცემა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან«, განიზრახა მხოლოდ ტყისთვის მიყენებული ზიანის დაკისრებით, ცალკეული ფიზიკური პირებისათვის უპირატესობის მინიჭების მიზნით, გაეთავისუფლებინა ტყის უკანონო მჭრელები მოსალოდნელი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 8 მარტიდან 2006 წლის 5 მაისამდე დროის მონაკვეთში 22 შემთხვევაში ბაღდათისა და ვანის რაიონულ სასამართლოებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ნაცვლად ადმინისტრაციული წესით საქმეთა გადაგზავნისა, შეიტანა სასარჩელო განცხადება მხოლოდ ზიანის დაკისრების თაობაზე, რითიც ხე-ტყის უკანონო მჭრელი 22 პირი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნულით ვ. რ-მემ სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 1 100 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 8 მარტიდან 2006 წლის 5 მაისამდე ვ. რ-მის დანაშაულებრივი ქმედებით სახელმწიფო ბიუჯეტს მთლიანად მიაღდა 14 475 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

საერთო ჯამში 2002 წლიდან 2005 წლამდე და 2006 წლის 8 მარტიდან 2006 წლის 5 მაისამდე მუშაობის პერიოდში ვ. რ-მის ქმედებით სახელმწიფო ბიუჯეტს მიაღდა 26 163 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. რ-მეს სასჯელთა შეკრებით მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი – 2 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე 2 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება. ვ. რ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 14 475 ლარის გადახდა. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა. მათ ითხოვეს რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება და ვ. რ-მის გამართლება, ასევე, მოსამართლის 2007 წლის 25 ივნისის დადგენილების გაუქმება და მითითებული მოწმეების დაკითხვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ვ. რ-მე გამართლდა სეკვესტრიზებული მორების სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით რეალიზაციისა და დიდი ოდენობით – 13 375 ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვის ნაწილში; ვ. რ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით; სასჯელთა შეკრებით ვ. რ-მეს განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით; მასვე დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. მსჯავრდებულს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 14 475 ლარის გადახდა.

კასატორები – მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატები საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება უკანონოა, არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ამიტომ განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. რ-მე მუშაობდა ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორად. მას სამსახურებრივი გულგრილობისათვის გაუფორმეს საპროცესო შეთანხმება 10 000 ლარის გადახდით და იმ პირობით, რომ ის სამსახურს აღარ დაუბრუნდებოდა, თუმცა ვ. რ-მემ დაარღვია შეთანხმება და პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ სასამართლოს გზით თავი აღიდგინა სამსახურში, რისი შედეგიცაა 12-წლიანი პატიმრობა; 2002 წლიდან 2005 წლამდე პერიოდი სრულყოფილად გამოიძიეს ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 იანვრის განაჩენის გამოტანამდე და დაადგინეს, რომ, გარდა სამსახურებრივი გულგრილობისა, ვ. რ-მეს სხვა დანაშაული არ ჩაუდენია; მართალია, ის იყო დირექტორი, მაგრამ შეუძლებელი იყო, მას პირადად განეხორციელებინა ყველა საქმიანობა, მის

თანამშრომლებს განაწილებული ჰქონდათ ფუნქციები და პასუხისმგებელი იყვნენ თავიანთ ქმედებებზე; სეკვესტრიზებული ხე-ტყის რეალიზაციას ახდენდა ტყის დაცვის ინჟინერი ნოდარ მაშანიივილი, რომელმაც, დაცვის მხარის თხოვნის მიუხედავად, თავი აარიდა პროცესზე გამოცხადებას და იმის ახსნას, თუ როგორ ახდენდა სეკვესტრიზებული ხე-ტყის რეალიზაციას; სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება, რომ ვ. რ-მე ვინმესთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა და რაიმე მოტივის გამო შეგნებულად ახდენდა სარეალიზაციო ფასის დაკლებას; გამოძიებას უნდა დაედგინა და დაეკითხა ის პირები, ვისზეც გაიცა აღნიშნული ხე-ტყე; იმ შემთხვევაში, თუკი გამოიკვეთებოდა, რომ ნაცნობობით, პატივისცემით, თხოვნით ან სხვა მოტივით ახდენდა ვ. რ-მე ფასების განზრახ შემცირებას, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე საუბარი; წინასწარი გამოძიების პერიოდში დაინიშნა სასაქონლო-საბუღალტრო ექსპერტიზა; ექსპერტიზა ჩაატარა ბუღალტერმა, რომელიც არ იყო საქონელმცოდნე და ვერ განსაზღვრავდა ხე-ტყის ღირებულებას მარტო მათემატიკური გათვლებით; ექსპერტიზას არ აქვს განსაზღვრული ჩამორთმეული ხე-ტყის ხარისხი, სწორედ ამიტომ დანიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა დაცვის მხარემ; დაცვა ექსპერტისაგან ითხოვდა, განსაზღვრულიყო, რამდენად შეუსაბამოდ დაბალ ფასებში მოხდა ხე-ტყის რეალიზაცია და რა ზიანი დადგა; სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ვერ განსაზღვრა ზიანის ოდენობა, რადგან საქმეში არსებული მასალები არ იყო საკმარისი ექსპერტიზის ჩასატარებლად; სსსკ-ის მე-10 მუხლის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ექვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, რაც სასამართლომ უხეშად დაარღვია.

კასატორთა განმარტებით, დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის სამსახურის ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა სასამართლომ მტკიცებულებად მიიღო, მაგრამ დატოვა შეფასების გარეშე, რადგან ექსპერტიზამ მხოლოდ მათემატიკური გათვლების საფუძველზე დაადგინა, რომ სატყეო მეურნეობას მიადგა 6 894,11 ლარის ზიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა შეეცვალა კვალიფიკაცია სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე.

რაც შეეხება ვ. რ-ძის მიერ 2006 წლის 8 მარტიდან 2006 წლის 5 მაისამდე მუშაობის პერიოდს, ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მას რეაგირება რომ არ სდომებოდა, ამ 22 აქტს არც გაატარებდა სარეგისტრაციო ჟურნალში და საერთოდ არ აჩვენებდა ამ სამართალდარღვევის შესახებ; მოწმე დ. მ-ძის ჩვენებით, ის იყო ტყის დაცვის ინჟინერი და სწორედ მის უფლება-მოვალეობებში შედიოდა ტყის უკანონო ჭრის გამოვლენა და ამ მასალების გადაგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში; მას არასოდეს მიუღია მითითება დირექტორისაგან, დაემალა გამოვლენილი უკანონო ჭრა და სათანადო რეაგირება არ მოეხდინა; საქმეს თან ერთვის ჟურნალი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ ვ. რ-ძის დირექტორობის პერიოდში გამოვლენილი იყო არა 58, არამედ - 37 უკანონო ჭრა და ჟურნალშივეა მითითებული, რა ბედი ეწია თითოეულ მათგანს; განაჩენში აღნიშნულია, რომ ბრალდებამ წარმოადგინა მეორე ჟურნალიც და ორივე ჟურნალში დაფიქსირებულმა ტყის ჭრამ შეადგინა 58, რაც არასწორია, რადგან მეორე ჟურნალი ეხებოდა ვანის რაიონის სატყეო მეურნეობაში გამოვლენილ უკანონო ჭრას; ასეც რომ ყოფილიყო, ჟურნალში დაფიქსირებულია მხოლოდ 4 უკანონო ჭრა და მათი ერთობლიობა მინც არ შეადგენს 58-ს; სათანადო დოკუმენტაციის არარსებობის გამო ექსპერტიზებმა ვერ განსაზღვრეს, რამდენი აქტი იყო გადაგზავნილი სამართალდამცავ ორგანოებში, გადაგზავნილი და გადაუგზავნიელი აქტების მიხედვით რას შეადგენდა ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანი, თუკი ასეთი არსებობდა.

კასატორთა აზრით, ერთადერთი გადაცდომა, რაც აქვს ვ. რ-ძეს, არის ის, რომ სასამართლოს მიმართა სამოქალაქო სარჩელებით ზიანის ანაზღაურებაზე და არ მოითხოვა სამართალდამრღვევი პირების დაჯარიმება ადმინისტრაციული წესით, მაგრამ ეს არ იყო მისი მხრიდან განზრახ ჩადენილი ქმედება; იგი ახალი აღდგენილი იყო სამსახურში და არ იცოდა ამ ახალი ნორმის არსებობის შესახებ; ვ. რ-მე კეთილსინდისიერად ახორციელებდა დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რაც მისმა პროცესზე დაკითხულმა თანამშრომლებმაც დაადასტურეს; იგი უდანაშაულოა, ამიტომ მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და ვ. რ-მე გათავისუფლდეს უკანონო პატიმრობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალები უდავოდ ადასტურებს, რომ ვ. რ-ძეს როგორც სატყეო მეურნეობის დირექტორს, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის სეკვესტრირება-რეალიზაციაზე და ვალდებული იყო, შესაბამისი მასალები გადაეცა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ასევე - მეთვალყურეობა გაეწია გადაცემული მასალების მსვლელობაზე. ხე-ტყის რეალიზება უნდა მომხდარიყო საბაზრო ღირებულებით.

შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ვ. რ-ძის სატყეო მეურნეობის დირექტორად მუშაობის პერიოდში - 2002 წლიდან 2005 წლამდე დროსი მონაკვეთში ხე-ტყე რეალიზებულია საბაზრო ფასთან შეუსაბამოდ დაბალ ფასში, კერძოდ, სხვაობა შეადგენს 11688 ლარს.

პალატა აღნიშნავს, რომ ვ. რ-ის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის გაფლანგვა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააკპლაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ 11688 ლარის ოდენობის სხვისი მოძრავი ნივთის გაფლანგვის ბრალდების ეპიზოდში ვ. რ-ის ქმედება სწორადაა დაკვალიფიცირებული სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითაც, კერძოდ:

საბრალდებო დასკვნით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვ. რ-მემ განიზრახა ცალკეული პირებისათვის უპირატესობის მისანიჭებლად მოეხდინა ხე-ტყის რეალიზაცია საბაზრო ფასებთან შეუსაბამოდ დაბალ ფასად და გაეფლანგა სახელმწიფო ქონება. ამისათვის მან 2002 წლიდან 2005 წლამდე დროის მონაკვეთში ნაცვლად 16712 ლარისა ხე-ტყე გაყიდა 5024 ლარად და სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 11688 ლარის ოდენობის ზიანი.

ვინაიდან ბრალდების ამ ეპიზოდში ვ. რ-ის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუნქტითაც (გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მისი ქმედების დამატებით სსკ-ის 332-ე მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია. სსკ-ის 332-ე მუხლის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი - სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა, საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, გამოიხატა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 11688 ლარის ოდენობის ზიანის მიყენებაში, რასაც, ამ მუხლის შემადგენლობის სხვა ნიშნებთან ერთად, მოცემულ შემთხვევაში მთლიანად მოიცავს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის «დ» და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტები (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით). სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება სწორედ იმაში გამოიხატა, რომ ვ. რ-მე ვალდებული იყო, მოეხდინა ჩამორთმეული ხე-ტყის რეალიზაცია საბაზრო ფასებში, რაც უგულვებელყო და გაფლანგა სხვისი ქონება.

საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ როდესაც ზოგად შემადგენლობასთან ერთად პირის ქმედებაში არსებობს საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სპეციალური ნორმით განსაზღვრული შემადგენლობაც, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ ნორმით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისათვის და რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით, მოცემულ შემთხვევაში - 182-ე მუხლით.

საქმის მასალებით ასევე უტყუარადაა დადგენილი, რომ ბაღდათისა და ვანის სატყეო მეურნეობის დირექტორად მუშაობის პერიოდში - 2006 წლის 8 მარტიდან იმავე წლის 5 მაისამდე ვ. რ-მემ ხე-ტყის უკანონო ჭრის არაერთი შემთხვევა დატოვა რეაგირების გარეშე, რაც სწორად შეფასდა როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ბრალდების ამ ეპიზოდში საკასაციო პალატა იზიარებს სააკპლაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ ვ. რ-მეს არ ჩაუდენია მის მართლობიერ მფლობელობაში მყოფი, 13375 ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, რადგან ქონებრივი ზიანი გამოიხატა აცდენილ სიკეთეში, კერძოდ, ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვებით სახელმწიფომ ვერ მიიღო კუთვნილი სარგებელი და მოცემულ შემთხვევაში ეს ზიანი გამოიწვია სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებამ. სწორედ ბრალდების ამ ეპიზოდში, მთლიანობაში ზიანის ოდენობა განისაზღვრა 14475 ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრებული განაჩენით დაკისრებული აქვს მსჯავრდებულს. ამ თანხიდან 1100 ლარის ოდენობის ზიანი გამოიწვია იმან, რომ ვ. რ-მემ ნაცვლად ადმინისტრაციული წესით საქმეთა გადაგზავნისა, შეიტანა სასარჩელო განცხადებები მხოლოდ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რითაც ხე-ტყის უკანონოდ მჭრელი 22 პირი გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

ქუთაისის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის #947 ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ ბაღდათის სატყეო მეურნეობაში 2006 წლის 1 იანვრიდან 3 ივლისამდე გამოვლენილია ხე-ტყის უკანონო ჭრის 58 შემთხვევა, საიდანაც სამართალდამცავ ორგანოებს მასალები გადაეგზავნა 34 შემთხვევაში. ამის გამო ზიანი განისაზღვრა 13375 ლარის ოდენობით. გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა აღნიშნულ დასკვნასა და ექსპერტ ა. ჯ-ის წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, თუმცა ეს უკანასკნელი დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც დააზუსტა, რომ შესაბამის უწყებაში არ გადაგზავნილა არა 24, არამედ 22 აქტი.

ვინაიდან საბრალდებო დასკვნით ზიანის ოდენობა განისაზღვრა გადაუგზავნიელი აქტების რაოდენობის მიხედვით, რაც სასამართლოში დააზუსტა ექსპერტმა, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ვ. რ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში და საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გაეგზავნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

რამდენადაც ბრალდების პირველ ეპიზოდში ვ. რ-ის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ 182-ე მუხლით, მეორე ეპიზოდში მისი ქმედება სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

2005 წლის 31 იანვრის განაჩენით, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ვ. რ-მეს შორის. ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. ვ. რ-მე

გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. შსს-ს შესაბამისი ცნობით დადგენილია, რომ ვ. რ-მე დაპატიმრეს 2004 წლის 28 დეკემბერს.

საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად უნდა დაემატოს არა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, არამედ მისი მოუხდელი ნაწილი, მოცემულ შემთხვევაში - 1 წელი, 10 თვე და 27 დღე.

ვინაიდან ვ. რ-მეს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი, მისი ზომის განსაზღვრისას პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს და სასჯელის მიზნებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. რ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატების - გ. ზ-შვილისა და მ. ფ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ვ. რ-მის ქმედება სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მიესაჯოს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვ. რ-მეს განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 10 თვე და 27 დღე და საბოლოოდ განესაზღვროს 9 წლით, 10 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება;

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში გადაეცეს ბაღდათის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მითვისება ან გაფლანგვა

განჩინება

#1661-აპ

27 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ა-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ე. ბ-იასა და ზ. გ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის განაჩენით ა. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - თავის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მართლსაწინააღმდეგო მითვისება არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ყალბი ოფიციალური დოკუმენტის არაერთგზის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1999 წლის 3 მაისს შპს „ქუთაისის აეროპორტის» დირექტორ რ. ჩ-იანსა და შპს „ფასადშენის» დირექტორ ა. ა-შვილს შორის გაფორმდა #13/99 ხელშეკრულება შპს „ქუთაისის აეროპორტის»

ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური შეკეთების თაობაზე, რისთვისაც შპს „ფასადმშენს“ დამკვეთისაგან 1999-2000 წლებში ჩაერიცხა 60 300 ლარი. მიღებული თანხიდან ა. ა-შვილმა არ შეასრულა 1 388 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო თანხა მიითვისა.

ა. ა-შვილი 2001 წლის 24 აპრილიდან მუშაობდა სახელმწიფოს ასპროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „ფასადმშენი-21-ის« დირექტორად. საწარმოს საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და ქალაქის გარე იერსახის კეთილმოწყობა. აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად საწარმოს გააჩნდა შესაბამისი ტექნიკა და ჰყავდა პერსონალი. ა. ა-შვილმა განიზრახა, თავისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გამოეყენებინა საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენისა და უპირატესობის მისაღებად, მიეთვისებინა ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები და ამ პროცესში სამუშაოების შესასრულებლად, საკუთარი ინტერესებისათვის უსასყიდლოდ, საწარმოს ინტერესებისათვის გამოეყენებინა შპს „ფასადმშენი-21-ის« ბალანსზე რიცხული ტექნიკა და მიეღო შემოსავალი. აღნიშნული განზრახვის განსახორციელებლად 2004 წლის 21 ოქტომბერს ა. ა-შვილმა ჩამოაყალიბა შპს „ქუთფასადმშენი«, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს თითქმის ანალოგიური სახელწოდება და საქმიანობის სფერო. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დაკვეთილი სამუშაოების შესასრულებლად არ არსებობდა ცალკე საწარმოს შექმნის აუცილებლობა.

2004-2005 წლებში ა. ა-შვილის მიერ დაფუძნებულმა საწარმომ - შპს „ქუთფასადმშენმა« მოიპოვა უფლება, შეესრულებინა ქ. ქუთაისში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და ქალაქის გარე იერსახის კეთილმოწყობის სამუშაოები. ა. ა-შვილმა ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #2 სახლის ფასადის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულების პროცესში ნორმით გათვალისწინებულზე ზედმეტად ჩამოწერა 5 342, 5 ლარის ღირებულების 1 340, 3 კგ საღებავი, ხოლო თანხა მიითვისა.

2004-2005 წლებში შპს „ქუთფასადმშენის« დირექტორმა ა. ა-შვილმა საზოგადოებისათვის ქ. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხებიდან, რომლებიც განკუთვნილი იყო ქალაქის გარე იერსახის მოწყობისათვის, საქვეანგარიშოდ, მასალების შესაძენად გაიტანა 13 100,1 ლარი, რომლითაც არც მასალები შეუძენია და არც - ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოუდგენია საწარმოს ბუღალტერიაში, ხოლო თანხა - 13 100,1 ლარი მიითვისა.

2004 წლის 5 ნოემბერს ა. ა-შვილმა შეადგინა ყალბი ხელშეკრულება #5, რომელშიც ასახა, რომ, თითქოსდა, ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #1 და ... ქუჩის #147 საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ჩატარებისათვის თერჯოლის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ა. ა-შვილს, შპს „ფასადმშენი-21-ის« მძღოლს, გადაუხადა თანხა - 6 700 ლარი, რომლიდანაც 6 200 ლარი შეადგენდა სამუშაოების შესრულების ღირებულებას, ხოლო 500 ლარი - ხელფასს. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე მოტყუებით, თითქოსდა შპს „ქუთფასადმშენის« დირექტორის მოადგილეს, ხელი მოაწერინა თ. ხ-შვილს, ისე, რომ იგი ხელშეკრულების შინაარსს არ გასცნობია და დაამოწმა საზოგადოების ბეჭდით. ხელშეკრულებაზე არც ა. ა-შვილს მოუწერია ხელი და არც ზემოაღნიშნული თანხა მიუღია. აღნიშნული გზით ა. ა-შვილმა მიითვისა 6 700 ლარი.

2004 წლის 15 ნოემბერს ა. ა-შვილმა შეადგინა ყალბი ხელშეკრულება #3, რომელშიც ასახა, რომ, თითქოსდა, ქ. ქუთაისში, ... გამოიზრახა, 142 ძირი ხის გადაჭრა-გადაზიდვის სამუშაოების შესრულებისათვის ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #78-ში მცხოვრებ ჯ. თ-ძეს გადაუხადა თანხა - 2 500 ლარი, რომლიდანაც 2 250 ლარი შეადგენდა საწვავის, ზეთის საპოხი მასალებისა და სხვა ტექნიკური ხარჯების ღირებულებას, ხოლო 250 ლარი - ხელფასს. აღნიშნულ ხელშეკრულებაზე თავად მოაწერა ხელი და დაამოწმა საზოგადოების ბეჭდით, ხოლო ჯ. თ-ძეს ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია და არც ზემოაღნიშნული თანხა მიუღია. აღნიშნული გზით მსჯავრდებულმა მიითვისა 2 500 ლარი.

2005 წელს შპს „ფასადმშენი-21-მა« მოიპოვა უფლება, ქალაქ ქუთაისში ჩატარებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების შესაკეთებელი კაპიტალური სამუშაოები. აღნიშნულ პერიოდში ა. ა-შვილმა განიზრახა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თავის მართლობიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო მითვისება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი, ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობასა და პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდთან 2005 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სამუშაოების შესრულების პროცესში ზედმეტად გახარჯულად აჩვენებდა მასალებს, თანხებს კი ითვისებდა.

შპს „კომუნპროექტის« მიერ შედგენილი ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვით, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა საწარმოს, დაგრუნტვის შემდეგ ერთ კვადრატულ მეტრ ფასადზე საღებავის ხარჯვის ნორმა შეადგენდა 180 გრამს. ა. ა-შვილი, როგორც საწარმოს დირექტორი, ვალდებული იყო, არ გადაეჭარბებინა საპროექტო ორგანიზაციის მიერ დადგენილი ნორმებისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, მოქმედებდა რა ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღებისა და თანხის მითვისების განზრახვით, ერთ კვადრატულ მეტრ ფასადზე გახარჯულად აჩვენებდა 700-800 გრამ საღებავს, ახდენდა აღნიშნული საღებავის ზედმეტად ჩამოწერას, თანხებს კი ითვისებდა.

გარდა ამისა, მან სამუშაოთა შესრულების გარეშე ჩამოწერა 20 134 ლარის სხვადასხვა სამშენებლო მასალა, რომლებიც სამუშაოთა შესრულების პროცესში გამოყენებული არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული გზით ა. ა-შვილმა მიითვისა ქ. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალური შეკეთებისათვის განკუთვნილი 98 689,3 ლარი.

ა. ა-შვილმა მიითვისა ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი 126 331,9 ლარი და შპს „ქუთაისის აეროპორტის“ კუთვნილი 1 388 ლარი, სულ - 127 719,9 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. ა-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2006 წლის 19 მაისიდან 2007 წლის 12 მარტამდე და სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 19 მაისიდან. მსჯავრდებულს ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 126 331,89 ლარის, ხოლო შპს „ქუთაისის აეროპორტის“ სასარგებლოდ - 1 388 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ე. რ-შვილმა, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსმა პროკურორმა ო. გ-ქემ.

მსჯავრდებულმა და ადვოკატმა ე. რ-შვილმა ითხოვეს განაჩენის გაუქმება და ა. ა-შვილის გამართლება, ხოლო პროკურორმა - განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულისათვის სასჯელის გამკაცრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ა. ა-შვილი გამართლდა შპს „ქუთაისის აეროპორტის“ კუთვნილი 1 388 ლარის მითვისების, ქ. ქუთაისში, ... ქ. #1 და ... ქ. #147 საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებისათვის გამოყოფილი 6 700 ლარისა და ქ. ქუთაისში, ... გამზირზე 142 ძირი ხის გადაჭრა-გადაზიდვის სამუშაოების შესრულებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 500 ლარის მითვისების ეპიზოდებში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით; მას ასევე მოეხსნა სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი; ა. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა 6 წლით, 220-ე მუხლით - 6 თვით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მას საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 19 მაისიდან. ა. ა-შვილს ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 117 131 ლარის გადახდა.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ე. ბ-ია და ზ. გ-ქე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი ა. ა-შვილის მიმართ არის უკანონო, დაუსაბუთებელი, არარაგუმენტებული, ურთიერთსაწინააღმდეგო და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიებისა და პირველი ინსტანციით სასამართლო განხილვის ეტაპებზე არსებითად დაირღვა სამართლებრივი პროცედურები, რაზეც სააპელაციო სასამართლომ რეაგირება არ მოახდინა; არასწორია განაჩენით დადგენილი ქმედების კვალიფიკაცია; განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები უსაფუძვლო და შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი; არასწორად გამოიყენეს მატერიალური სამართლის კანონი; სახეზეა განაჩენის გაუქმების აუცილებელი პირობები: წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლების არსებობისას; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

კასატორთა მოსაზრებით, სასამართლომ დაარღვია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 და მე-10 მუხლების, სასამართლო დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის, ასევე, საქართველოს სსკ-ის მე-10, მე-14, მე-18, 496-ე, 503-ე და 508-ე მუხლების მოთხოვნები; ა. ა-შვილისათვის ავტომატურად უნდა მოეხსნათ სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება, რადგან ის გამართლდა 6 700 ლარისა და 2 500 ლარის მითვისების ეპიზოდებში, ვინაიდან 362-ე მუხლის მე-2 ნაწილი მას სწორედ ამ ორი ეპიზოდისათვის ჰქონდა წარდგენილი; არასწორია განაჩენის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ა. ა-შვილმა ჩაიდინა სსკ-ის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან შპს „ფასადმშენი-21-ის“ უმძიმესი ფინანსური მდგომარეობიდან გამოყვანის ერთადერთი და იძულებითი გამოსავალი იყო ახალი საწარმოს შექმნა, რომლის საშუალებითაც შეძლებდნენ დაკვეთების მიღებასა და არსებული მძიმე მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორებას; ახლად შექმნილმა „ქუთფასადმშენმა“ შეძლო დაკვეთების მოპოვება, გაუმჯობესდა ფინანსური მდგომარეობა და დასაქმდა მუშახელი, რის შემდეგაც „ფასადმშენ-21-მაც“ დაიწყო მუშაობა, ამიტომ „ქუთფასადმშენის“ საქმიანობა ა. ა-შვილმა დროებით შეაჩერა, რათა „ფასადმშენ-21-ს“ კონკურენტი არ ჰყოლოდა ახალი საწარმოს სახით; ამდენად, მტკიცება იმის შესახებ, რომ, თითქოს, ახალი საწარმო მსჯავრდებულმა იმ განზრახვით შექმნა, რათა თავისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გამოეყენებინა საწარმოს ინტერესების საზიანოდ და საწინააღმდეგოდ, პირადი გამორჩენისა და უპირატესობის მისაღებად და ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითვისებისათვის, სრულიად უსაფუძვლო და უსამართლოა და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან; ასევე, ზერელე და დაუსაბუთებელია ბრალდება იმის შესახებ, რომ შპს „ქუთფასადმშენი“ საქმიანობის პროცესში საკუთარი ინტერესებისათვის

უსასყიდლოდ იყენებდა „ფასადშენი-21-ის» ბალანსზე რიცხულ ტექნიკას და ამ გზით ღებულობდა შემოსავლებს; სინამდვილეში კი მანქანა-მექანიზმები ხანდაზმული და ამორტიზებული იყო, ამიტომ ა. ა-შვილმა საკუთარი თანხებით დაიწყო მათი კაპიტალური შეკეთება, რაც ბუღალტერიაში არ ასახულა; თუ ადრე ამ მანქანა-მექანიზმების საერთო ღირებულება შეადგენდა 2 055 ლარს, ამჟამად თითოეული მათგანი ღირს 16 000 ლარი, რაც დასტურდება საქმის მასალებით; ერთი მტკიცებულებაც კი არ დევს საქმეში ა. ა-შვილის მიერ ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა, სპეციალური უფლება-მოსილების გამოყენების „ფასადშენი-21-ის» კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ; პირიქით, ამ საწარმოში მძიმე ფინანსური მდგომარეობის დროს ა. ა-შვილის მიერ ახლადშენილმა „ქუთფა-სადშენმა» მოახერხა სამუშაოების მოპოვება, საიდანაც „ფასადშენ-21-ს» გადაეცა 58 890 ლარის სამუშაოები და მისი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა; ამდენად, ახალი საწარმოს შექმნის მიზანი იყო ძველის გადარჩენა; გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანი არ დამდგარა, რაც კონკრეტულად გამოძიებამაც ვერ მიუთითა.

კასატორთა აზრით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ზოგადი ქიმიის ლაბორატორიის სპეციალისტის №3-978ა\06 ცნობით, ამავე ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიური და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 2006 წლის 15 დეკემბრის №3978\15 და საბუღალტრო ექსპერტიზის 2007 წლის 27 ივნისის დასკვნებით უტყუარად დასტურდება, რომ სამუშაოების შესრულებისას ნორმის ზემოთ საღებავების ჩამოწერით თანხების მითვისება არ მომხდარა; შპს „ქუთფასადშენსა» და ქუთაისის თვითმმართველობას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დამკვეთს ჩაბარებული აქვს სამუშაოები და არავითარი პრეტენზია არ გააჩნია; იმისათვის, რომ გარკვეული თანხა ან საქონელი იყოს მითვისებული, იგი ფაქტობრივად არ უნდა გაიხარჯოს; აღნიშნულის დასადასტურებლად აუცილებელია, გაირკვეს ფაქტობრივად გახარჯული მასალების რაოდენობა, რაც კონტროლის პალატას არ გაუკეთებია; ამასთან, იმისათვის, რომ რომელიმე კომპანიას მოეთხოვოს გარკვეული სამშენებლო ნორმების დაცვა, ეს ნორმები ან უნდა იყოს დადგენილი ნორმატიული აქტით, ან განისაზღვროს ხელშეკრულების პირობებით; მოცემულ შემთხვევაში არც ერთი აღნიშნული დოკუმენტით არ განსაზღვრულა, რომ შპს „ქუთფასადშენს» უნდა ესარგებლა შპს „კომუნპროექტის» მიერ დადგენილი ნორმებით და, ამდენად, შპს-ის დირექტორისათვის თანხების დაკისრება არ შეიძლება, სწორად იქნეს მიჩნეული; გასათვალისწინებელია ისიც, რომ „კომუნპროექტის» მიერ შედგენილი ლოკალურ-რუსურული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ნორმები „ქუთფასადშენის» მიერ სამუშაოების შესრულების დროს ბუნებაში ჯერ კიდევ არ არსებობდა, თუმცა რატომღაც ეს გარემოება გამორჩათ როგორც გამოძიებას, ისე - ორივე ინსტანციის სასამართლოებს; სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები საბუღალტრო, საფინანსო, სასაქონლო და საინჟინრო, ასევე - კომპლექსური ექსპერტიზებისა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების სპეციალისტების მიერ აზომვის ჩატარების შესახებ; საქმე იმაშია, რომ ა. ა-შვილის საწარმომ მრავალი ისეთი სერიოზული სამუშაო ჩაატარა, რომელიც ხარჯთაღრიცხვით არ ყოფილა გათვალისწინებული, რადგან, ფაქტია, რომ ბუღალტერია გამართულად ვერ მუშაობდა, რის შესახებაც მსჯავრდებულმა სასამართლოსაც განუცხადა; დაცვის მხარის მიერ ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნით, შპს „ქუთფასადშენი» კერძო კომპანიაა, მის მიერ სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებული თანხები წარმოადგენს ამავე კომპანიის საკუთრებას და არა - სახელმწიფო სახსრებს, ამიტომ ამ შემთხვევაში თანხების მითვისების ბრალდება აბსურდულად ჟღერს; ის, რომ კომპანიიდან თანხა გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე, ჩვეულებრივი სამეურნეო ოპერაციაა და არ ნიშნავს ვინმეს მიერ ამ თანხის მითვისებას; თუ გარკვეული პერიოდისათვის ანგარიშვალდებულ პირს არა აქვს დახურული საავანსო ანგარიში, შესაძლებელია, საქმე გვექონდეს შემდეგ გარემოებებთან:

1. ანგარიშვალდებულ პირს ეს თანხა ჩაეთვალოს სესხად, სესხით სარგებლობის პროცენტი ჩაეთვალოს შემოსავლად და დაიბეგროს შესაბამისად;
2. ანგარიშვალდებულ პირს ეს თანხა ჩაეთვალოს ხელფასად, თუ არ მოხდება მისი დაბრუნება და დაიბეგროს შესაბამისად;
3. თუ ეს ანგარიშვალდებული პირი წარმოადგენს იმავდროულად კომპანიის დამფუძნებელს, ეს თანხა ჩაეთვალოს დივიდენდად და მოხდეს მისი შესაბამისი დაბეგვრა.

ამ სამი ვარიანტიდან რომელიმეს მტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ დებიტორული დავალიანება მართლაც ერიცხება ანგარიშვალდებულ პირს და ეს დავალიანება ასახულია კომპანიის ბალანსში და ანგარიშვალდებულ პირს ბალანსის ჩაბარების თარიღამდე არა აქვს წარმოდგენილი თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; რადგან კომპანიის საბუღალტრო დოკუმენტაცია ამოიღეს 2006 წლის 5 იანვარს, ამიტომ არ შედგა შპს „ქუთფასადშენის» 2005 წლის ბალანსი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა გადაეწყვიტა კონტროლის პალატას, მართლაც ირიცხებოდა თუ არა ა. ა-შვილზე დებიტორული დავალიანება 13 100.1 ლარის ოდენობით, ამიტომ ბრალდება მსჯავრდებულის მიერ ამ თანხის მითვისების თაობაზე აბსურდულია.

კასატორები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ა. ა-შვილის მიერ 78 555,22 ლარის მითვისების ბრალდებასაც, შემდეგ გარემოებათა გამო:

კონტროლის პალატამ არ ჩაატარა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობითი აზომვები, ქიმიური ანალიზი სპეციალისტის გამოყენებით და მხოლოდ არასრულყოფილ და დაუმუშავებელ საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით, აბსტრაქტული მსჯელობითა და შეფასებებით გააკეთა დასკვნა 78 555

ლარის ღირებულების საღებავების ჩამოწერით ამ თანხის მითვისების თაობაზე. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ქიმიური და საინჟინრო ექსპერტიზების დასკვნებით, ამ ობიექტებზე 2004-2005 წლებში ფაქტობრივად იმაზე მეტი საღებავია გახარჯული, ვიდრე საბუღალტრო საბუთებშია დაფიქსირებული; ხარჯთაღრიცხვებთან ერთად თითოეულ ბინაზე შესრულებულია წინასწარი დეფექტური აქტები, ინსპექტირების აქტები და ბოლოს - მიღება-ჩაბარების აქტები; ყველა დოკუმენტში მითითებულია თითოეულ ობიექტზე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება, მოწონებულია კომისიური წესით და თანხებიც ზუსტად ხელშეკრულების მიხედვით გათვლილი ოდენობითაა ჩარიცხული; ე.ი. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს ობიექტების ჩაბარების პროცესში ან თანხების გადარიცხვისას ა. ა-შვილის ორგანიზაციის მიმართ პრეტენზია არ ჰქონია, რადგან მოცემულ შემთხვევაში დაწესებულ თანხას შეადგენდა 14 ლარი 1 კვადრატულ მეტრზე, რის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა სრულყოფილად და ხარისხიანად; დაცულია ხელშეკრულების ფასი და შესრულებული სამუშაოების ღირებულება, საღებავები და სხვა მასალები სწორადაა ჩამოწერილი, ამიტომ ბრალდება ამ ნაწილში დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და უკანონოა.

კასატორთა მოსაზრებით, იმის დასადგენად, ფაქტობრივად დაიხარჯა თუ არა 78 555.32 ლარის მასალები იმ კონკრეტულ ობიექტებზე, რომლებზეც უნდა დახარჯულიყო, საკმარისი არ არის მხოლოდ დოკუმენტური შემოწმება და მასალების ხარჯვის გეგმიური ნორმების დოკუმენტურთან შედარება, არამედ აუცილებელია, დადგინდეს ფაქტობრივად გახარჯული მასალების რაოდენობა; კონტროლის პალატის სპეციალისტებს ასევე არა აქვთ გათვალისწინებული სამღებრო სამუშაოების შესრულებისას შესაძლო საწარმოო დანაკარგები; სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2006 წლის 15 დეკემბრის №978\15 დასკვნისა და კონტროლის პალატის მასალების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად ჩამოწერილია 658.54 ლარით ნაკლები მასალები და არა - 78 555.32 ლარის; ა. ა-შვილს არ დაურღვევია ტენდერის პირობები, არ გადაუხარჯავს და მთლიანად ჩაეტია ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ თანხებში; დამკვეთის არც ერთი პრეტენზია არ არსებობს, ამიტომ ა. ა-შვილის თუნდაც არასწორი მოქმედება არ შეიძლება, ჩაითვალოს საღებავების წონის ხელოვნურად გაზრდის გზით სხვისი ქონების მითვისებად.

რაც შეეხება 20 134 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალების უკანონოდ ჩამოწერის ეპიზოდს, საბუღალტრო ექსპერტიზა იძლევა შემდეგ დასკვნას: მასალების ჩამოწერა ნიშნავს, რომ ისინი ჩამოწერილია კომპანიის ბალანსიდან და ასახულია მოგების დეკლარაციაში, როგორც დანახარჯები; შპს „ფასადმშენ-21-ს“ 2005 წლის ბალანსისა და მოგების დეკლარაცია საგადასახადო ინსპექციაში უნდა ჩაებარებინა 2006 წლის 1 აპრილამდე, დეკლარაციაში უნდა გამოჩენილიყო, იყო თუ არა ხარჯებში ასახული ზემოაღნიშნული 20 134 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები; როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, 2006 წლის 5 იანვარს გამოძიებულმა ამოიღო „ფასადმშენი-21-ის“ 2004-2005 წლების საბუღალტრო დოკუმენტაცია; აქედან გამომდინარე, იმ დროისათვის ბალანსი და მოგების დეკლარაცია არ იყო მომზადებული და, შესაბამისად, კონტროლის პალატის მტკიცება, რომ აღნიშნული მასალები ჩამოწერილია, საფუძველსაა მოკლებული; ამასთან, კონტროლის პალატის აქტში არ ჩანს, რომ მათ შეამოწმეს ამ მასალების ფაქტობრივი არსებობა; გამოძიებამ ვერც ამ ეპიზოდში შეძლო ა. ა-შვილისათვის 20 134 ლარის მითვისების დადასტურება, ამიტომ იგი ამ ეპიზოდშიც უნდა გამართლდეს.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ა. ა-შვილის საქმის განხილვისას დაირღვა საქართველოს სსსკ-ის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 503-ე და 496-ე მუხლები, რადგან სასამართლოს არ გააჩნია არათუ უტყუარი, არამედ - ელემენტარული მტკიცებულებაც კი ა. ა-შვილის ბრალეულობის დასადასტურებლად; აქედან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის განაჩენის გაუქმებას და ა. ა-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოტივს, რომ საქმეში არ მოიპოვება ა. ა-შვილის მიერ დანაშაულის ჩადენის რაიმე მტკიცებულება, კერძოდ:

ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობასა და შპს «ფასადმშენს» შორის დადებული ხელშეკრულებით, «მიმწოდებელი» ვალდებული იყო, შეესრულებინა სამუშაო საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით, ასევე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო ყველა გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრა.

სააპელაციო პალატამ სწორად აღნიშნა, რომ ა. ა-შვილი, როგორც გამოცდილი მშენებელი, კარგად იცნობდა სარემონტო სამუშაოების წესებს და შეგნებული ჰქონდა მათი დაცვის აუცილებლობა. თავად მსჯავრდებულმა სააპელაციო პალატას განუცხადა, რომ არ იცოდა 14 ლარად ღირებული საღებავის გამოყენების აუცილებლობის შესახებ და არც სამუშაოს ხარჯთაღრიცხვას იცნობდა. მისი ჩვენების მიხედვით, 1 მ²-ის უნდა გადაეღება 2.5 ლარად. იქვე ა. ა-შვილმა განმარტა, რომ ხარჯთაღრიცხვის შესახებ მისთვის ცნობილი იყო სამუშაოების დაწყებამდე.

დადგენილი ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე, სამუშაოები უნდა შესრულებულიყო მაღალხარისხიანი, წყალმედვეი საღებავით, ღირებულებით 1 კვ - 14 ლარი, რომლის ხარჯსაც 1 მ²-ზე უნდა შეედგინა 180 გრამი. ამდენად, ამ საღებავის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული ფართის გადაღებისათვის საჭირო იყო დაახლოებით 2.50 ლარის ღირებულების საღებავი, სწორედ იმდენი, რასაც ა. ა-შვილი აღნიშნავს.

მსჯავრდებულის ჩვენებიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე უტყუარად დგინდება, რომ შენობების გადაღება ხდებოდა 4-5-ჯერ დაბალფასიანი საღებავით. სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა, რომ ა. ა-შვილი სამუშაოს ღირებულების დასაბალანსებლად საბუღალტრო დოკუმენტებში ხელოვნურად, 4-ჯერ ზრდიდა საღებავის ხარჯს და 180 გრამის ნაცვლად ახდენდა 800 გრამამდე საღებავის ჩამოწერას.

კასატორები აპელირებენ იმ გარემოებაზე, რომ ობიექტების ჩაბარების პროცესში ან თანხების გადარიცხვისას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებს პრეტენზია არ ჰქონიათ, საღებავის გადახარჯვა არ მომხდარა და არც საინჟინრო ტექნოლოგია დარღვეულა საღებავების შემცირებული ნორმებით გამოყენების თვალსაზრისით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული კუთხით საკითხის განხილვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა გამოყენებული საღებავის მოცულობას, არამედ მის ფასს.

სასამართლო სხდომაზე კონტროლის პალატის წამყვანმა სპეციალისტმა - ფ. დ-მემ განმარტა, რომ შემოწმებისას მოხდა ხარჯთაღრიცხვის ნორმების შედარება გახარჯულად ნაჩვენები მასალების ოდენობასთან. აღმოჩნდა, რომ დადგენილი 180 გრამის ნაცვლად 1 მ²-ის შესაღებად გახარჯულად ნაჩვენებია 700-800 გრამი საღებავი. მანვე აღნიშნა, რომ ჭავჭავაძის გამზირის #24-ე, 26-ე და 28-ე სახლებზე უნდა გახარჯულიყო 477 კვ. საღებავი, ხოლო გახარჯულად ნაჩვენებია 2270 კვ. ფ. დ-მემ მიუთითა, რომ საპროექტო მონაცემებით უნდა გამოყენებულიყო 14 ლარად ღირებული საღებავი, საბუღალტრო ჩანაწერით და შესყიდვის დოკუმენტებით კი ფაქტობრივად შეძენილია 2-ლარიანი საღებავი. გარდა ამისა, პირდაპირ ხარჯში გატარდა 20100 ლარის ღირებულების სხვადასხვა სამშენებლო მასალა, რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი აქტი და გაურკვეველია ამ ხარჯის მიზეზი.

კასატორები ასევე ეყრდნობიან საინჟინრო ექსპერტიზის #კ978/15 დასკვნას, რომელშიც მითითებულია ფაქტობრივად გახარჯული საღებავის ოდენობა.

აღნიშნულიდან დაკავშირებით მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ განაგარიშებისას ექსპერტმა იხელმძღვანელა 1982 წლის სამშენებლო ნორმებით. საგულისხმოა, რომ მოწმე მ. ბ-შვილის სააპელაციო სასამართლოში დაკითხვისას თავად მსჯავრდებულის ადვოკატმა ექვემდებარება დააყენა 1984 წელს დადგენილი სამშენებლო ნორმებისა და ფასთა კრებულის თანამედროვე პირობებში გამოყენების მართებულობა. ამასთან დაკავშირებით მ. ბ-შვილმა მიუთითა, რომ 1984 წელს მიღებული აქტი სახელმძღვანელო ბაზისია და ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს 2002 წლის ბრძანებით მოხდა შესაბამისი გადაანგარიშება და ფასების ხელახლა განსაზღვრა, რაც მითითებულია შპს «კომუნპროექტის» განმარტებით ბარათში. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ შემსრულებელს უნდა გამოეყენებინა 14 ლარად ღირებული საღებავი, რომელიც ხარჯს 1 მ²-ზე უნდა შეედგინა 180 გრ. სხვა ღირებულების საღებავის გამოყენება შესაძლოა მომხდარიყო მხოლოდ დამკვეთთან შეთანხმებით.

ცხადია, რომ იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს გააჩნდა შესაბამისი ტექნიკა და პერსონალი, ახალი, ცალკე საწარმოს შექმნის აუცილებლობა არ არსებობდა, მით უფრო, რომ სახელმწიფო დაკვეთის შესრულება შპს «ფასადმშენი 21-ს» შეეძლო. დადგენილია ისიც, რომ შპს «ფასადმშენის 21-ის» ტექნიკასა და მექანიზმებს ა. ა-შვილი უსასყიდლოდ იყენებდა თავის მიერვე დაფუძნებული კერძო საწარმოს ინტერესებისათვის. აღნიშნული გარემოებები ნათლად მეტყველებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე.

სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ა. ა-შვილის სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) მსჯავრდების ნაწილში და, შესაბამისად, მსჯავრდებულს შეუმსუბუქდეს სასჯელი, რადგან სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ა-შვილმა არაერთგზის შეადგინა ყალბი ხელშეკრულებები. ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში აღნიშნულია, რომ ამ ხელშეკრულებების დამზადებისას ა. ა-შვილის მიზანი იყო მათი გამოყენება.

მოქმედი სსკ-ის 362-ე მუხლი ითვალისწინებს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას გასაღების მიზნით, გასაღებას ან გამოყენებას. მართალია, საქმის მასალებით უდავოდ დადასტურებულია ა. ა-შვილის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის არაერთგზის დამზადების ფაქტი, მაგრამ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ეს ქმედება აღარაა დასჯადი, თუ პირს არ ამოძრავებს ამ დოკუმენტის გასაღების მიზანი ან თუ იგი მას არ გამოიყენებს.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ», «გ» და «დ» ქვეპუნქტები (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), რადგან ამ მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის «ბ» ქვეპუნქტითაც მსჯავრდებულია ა. ა-შვილი, მოიცავდა წინას.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, რადგან ეყრდნობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ა. ა-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 220-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ა-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ე. ბ-იასა და ზ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განაჩენიდან ა. ა-შვილის მიმართ ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ», «გ» და «დ» ქვეპუნქტები;

გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში ა. ა-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ა. ა-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 220-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ამ მუხლით განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ა. ა-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მითვისება ან გაფლანგვა

განჩინება

#1268-აპ 18 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. გ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატების - ე. კ-ავასა და მ. ჭ-უას, მსჯავრდებულ მ. ფ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ყ-იას, მსჯავრდებულების - ნ. გ-იასა და მ. ფ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ზ-იას საკასაციო საჩივრები ... სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით:

ნ. გ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «დ» და მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ნ. გ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ნ. გ-იას 3 წლის ვადით აეკრძალა სამეწარმეო საქმიანობა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 აპრილიდან.

მ. ფ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «დ» და მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მ. ფ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა

და ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. ფ-იას 3 წლის ვადით აკრძალა სამეწარმეო საქმიანობა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 10 აპრილიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების: ნ. გ-იასა და მ. ფ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ზუგდიდის რაიონისა და ზუგდიდის გამგეობის 1995 წლის 14 მარტის სხდომის #27 გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს ბაზაზე სააქციო საზოგადოება „ზუგდიდსოფლტექნიკის“ დაფუძნების მიზნით, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, 1996 წლის 7 ივლისს სამეწარმეო რეესტრში მოახდინა საწარმოს რეგისტრაცია, როგორც სს „ზუგდიდსოფლტექნიკა«, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ... ქუჩა #79. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიული ორგანო და სს-ის სახელმწიფო წილი განისაზღვრა 100%-ით.

1999 წელს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დადგენილებით სააქციო საზოგადოების წესდებაში შევიდა ცვლილებები და სააქციო საზოგადოების საქმიანობას დაემატა: ხე-ტყის დამზადება, ხის დამუშავება, ავეჯისა და ხის სხვა ნაკეთობათა წარმოება-რეალიზაცია.

შემდგომში სააქციო საზოგადოებაში რეორგანიზაციისას განხორციელებული ცვლილებების შედეგად სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ აქციათა სრული პაკეტის მფლობელნი პროცენტული კუთვნილებით გახდნენ:

ნ. გ-ია - 80698 აქცია - 45%; მ. ფ-ია - 24175 აქცია - 13%; ზ. ა-აია - 55341 აქცია - 30%; 4. ვ. ხ-ავა - 4879 აქცია - 2, 731%; სხვადასხვა აქციონერები 10602 აქცია - 5, 992%; წარმოების თანამშრომლები - 28000 აქცია - 1, 567%.

1997 წლის 10 მარტს, 1999 წლის 23 ივნისსა და 2004 წლის 15 ოქტომბერს საზოგადოებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამეთვალყურეო საბჭო ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: 1. ე. გ-ია, 2. ვ. ხ-ავა; 3. ზ. ა-აია; 4. ო. გ-ავა; 5. ვ. ტ-უა; 6. რ. ჩ-ავა.

სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ დირექტორატი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: გენერალური დირექტორი - მ. ფ-ია, ფინანსური დირექტორი - თ. ხ-ია, დირექტორი კომერციულ საქმიანობაში - ნ. გ-ია, დირექტორი ეკონომიკის დარგში - ჯ. გ-ია.

2006 წლის 20 ივნისს მ. ფ-ია გათავისუფლდა გენერალური დირექტორის თანამდებობიდან და მოვალეობის შესრულება დაევალა ნ. გ-იას.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, დირექტორების უფლებამოსილება უნდა განსაზღვრულიყო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანაწესით. 1997 წელს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის #6 ოქმის თანახმად, განისაზღვრა კომერციული დირექტორის უფლებამოსილება, კერძოდ: საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე კონტრაქტების დადება, ურთიერთხელსაყრელ პირობებში საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში სავალუტო ანგარიშების გახსნისა და, შესაბამისად, ფინანსების განკარგვის უფლებამოსილება. დირექტორების სხვა უფლებამოსილება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56.2 მუხლის თანახმად, განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებით. კერძოდ, ამავე კანონის 56.4 მუხლის შესაბამისად, დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია, საზოგადოებას აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი, დირექტორები კი პასუხს აგებენ სოლიდარულად.

სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ დირექტორი კომერციულ საქმიანობაში ნ. გ-ია, გენერალური დირექტორი მ. ფ-ია და ფინანსური დირექტორი თ. ხ-ია 2004 წლის იანვარში შეთანხმდნენ, რომ ურთიერთშორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, შემოსავალში არ აესახათ სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული, სააქციო საზოგადოების კუთვნილი თანხები, განზრახ თავი აერიდებინათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის და ამ გზით მიეთვისებინათ აღნიშნული თანხები, რითაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდნენ სს „ზუგდიდსოფლტექნიკას“ და სახელმწიფო ბიუჯეტს, რაც მათ 2004-2005-2006 წლებში განახორციელეს შემდეგნაირად:

სააქციო საზოგადოების მიერ 2004 წლის განმავლობაში საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მიერ გაცემული ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების საფუძველზე ოდიშისა და ზემო სვანეთის სატყეო მეურნეობებიდან გამოიზიდა 2721მ³ წიფლის სამასალე მორი და 2709მ³ სამეშე მორი. 2004 წელს ორგანიზაციაში წიფლის ჯიშის ხის მასალის მზა პროდუქციის დანაკლისმა შეადგინა 420მ³, ღირებულებით - 119700ლარი (420X285), ხოლო შემის დანაკლისმა - 801.4მ³, ღირებულებით - 23393 ლარი (801.4 მ³X29.19).

2004 წელს სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ მიერ თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტირებულ იქნა 1700.1მ³ ნედლი ხის მასალა და შავად ნაშადი მშრალი დეტალი, ღირებულებით - 485716 ლარი, მათ შორის I და II ხარისხის - 397866 ლარის (1348.7X295) და III ხარისხის 87850 ლარის (351.4X250), ტვირთის გადაზიდვის საფასურად თურქ მძღოლებს გადაუხადეს 103138 ლარი. ამდენად, ფასთა სხვაობამ შეადგინა 281661 ლარი (485716+103138-307193).

2005 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ სს „ზუგდიდსოფლტექნიკას« მთავარი სარგებლობის - ჭრის უფლებით ოდიშისა და ზემო სვანეთის სატყეო მეურნეობებიდან გამოუყო ტყეკავის ფონდები - 4025მ³ ლიკვიდური მერქნის დამზადება-გამოზიდვისთვის. აღნიშნულ პერიოდში საზოგადოებამ გამოზიდა 3991მ³ წიფლის სამასალე მორი და 2644მ³ საშეშე მორი. ამავე პერიოდში საზოგადოებამ დაამზადა 324მ³ წიწვოვანი ჯიშის ხის სამასალე მორი და 565მ³ საშეშე მორი. პროდუქციის დანაკლისმა შეადგინა 1238.7მ³, ღირებულებით - 371610 ლარი (1238.7X300), 53.4მ³ წიწვოვანი ხის მასალა, ღირებულებით - 9505 ლარი (53.4X178) და 893.5 მ³ შეშა, თანხით - 30549 ლარი (893.5X34.19).

2005 წელს სს „ზუგდიდსოფლტექნიკის« მიერ თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტირებულ იქნა 3472.1მ³ ნედლი ხის მასალა და შავად ნაშადი მშრალი დეტალი, ღირებულებით - 973174 ლარი, მათ შორის, ნედლი ხის მასალა და მშრალი დეტალები, I და II ხარისხის, 2029.9მ³ 608970 ლარის ღირებულების (2029.9X300) და III ხარისხის, 1353.1მ³ 338275 ლარის ღირებულების (1353X250), გამომშრალი ხის მასალა და მშრალი დეტალები, I და II ხარისხის, 53.5მ³ 16317 ლარის ღირებულების (53.5X305), III ხარისხის, 35.6მ³ 9612 ლარის ღირებულების (35.6X270). ამდენად, ფასთა სხვაობამ შეადგინა 275339 ლარი (973173-697835).

2006 წელს სს „ზუგდიდსოფლტექნიკას« გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გამოუყო ტყეკავის ფონდები. წლის განმავლობაში გამოზიდულ იქნა 2794 მ³ წიფლის სამასალე მორი და 2414მ³ საშეშე მორი. 2006 წელს ორგანიზაციაში წიფლის ჯიშის ხის მასალის მზა პროდუქციის დანაკლისმა შეადგინა 110.3მ³, ღირებულებით - 44120 ლარი (110.3 X400) და 620.3 მ³ შეშა, თანხით - 29427 ლარი (620.3X47.44).

2006 წელს სს „ზუგდიდსოფლტექნიკის« მიერ თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტირებულ იქნა 2408.7მ³ ნედლი ხის მასალა და შავად ნაშადი მშრალი დეტალი, ღირებულებით - 697984 ლარი, მათ შორის ნედლი ხის მასალა და დეტალები, I და II ხარისხის, 131.7მ³ 393210 ლარის ღირებულების (1310.7X300) და III ხარისხის, 873.8მ³ 224094 ლარის ღირებულების (1353X250), გამომშრალი ხის მასალა და დეტალები I და II ხარისხის, 134.5მ³ 53800 ლარის ღირებულების (134.5X400), III ხარისხის, 89.6მ³ 26880 ლარის ღირებულების (89.6X300). ამდენად, ფასთა სხვაობამ შეადგინა 297995 ლარი (697984-420009).

ამრიგად, სს «ზუგდიდსოფლტექნიკის» დირექტორმა კომერციულ საქმიანობაში ნ. გ-იამ, გენერალურმა დირექტორმა მ. ფ-იამ და ფინანსურმა დირექტორმა თ. ხ-იამ, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, ურთიერთშორის წინასწარი შეთანხმებით ბოროტად გამოიყენეს თავიანთი უფლებამოსილება და ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით 2004-2005-2006 წლებში საზოგადოების შემოსავლებში არ ასახეს 1011446 ლარიდან დიდი ოდენობით სააქციო საზოგადოების აქციონერების კუთვნილი 4248073 ლარი. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მათ განზრახ თავი აარიდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 471853 ლარის გადასახადის გადახდას, რის შედეგადაც სააქციო საზოგადოება „ზუგდიდსოფლტექნიკას« სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაეკისრა 264390 ლარისა და საურავის სახით 227136 ლარის გადახდა, რითაც მათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს სს „ზუგდიდსოფლტექნიკას« და სახელმწიფოს ინტერესებს.

2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სს „ზუგდიდსოფლტექნიკას« ნაშთად ერიცხებოდა 466,8 მ³ წიწვოვანი ჯიშის ხის მზა პროდუქცია, რაც ფაქტობრივად ორგანიზაციის საწყობში არ გააჩნდა. 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი იგი ნაშთში იყო ნაჩვენები და წარმოადგენდა ორგანიზაციის დანაკლისს, ამასთან, სს „ზუგდიდსოფლტექნიკის« კომერციული დირექტორის - ნ. გ-იასათვის, სახერხი საამქროს უფროს ვ. ტ-უასათვის, ფინანსური დირექტორის - თ. ხ-იასა და ბუღალტერ-მოლარე ზ. გ-იასათვის ცნობილი იყო, რომ სს „ზუგდიდსოფლტექნიკის« ხელმძღვანელი პირების მიმართ სა-მეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობდა რევიზია. დანაშაულის ჩადენაში მხილებისაგან თავის დაღწევის მიზნით, მათ განიზ-რახეს, ყალბი სალაროს შემოსავლის ორდერების, სასაქონლო ზედნადებებისა და შესყიდვის აქტების შედგენით ეჩვენებინათ სააქციო საზოგადოებაში ნაშთის შესაბამისი, დახერხილი ხის მასალის პროდუქციის საშუალებებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების შექმნა, რითაც დაფარავდნენ მზა პროდუქციის დანაკლისს და სააქციო საზოგადოების ბუღალტერიაში ასახავდნენ პროდუქციის ნაშთის შესაბამის ფაქტობრივ უსაქონლო ოპერაციას.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. გ-იამ, ვ. ტ-უამ, თ. ხ-იამ და ზ. გ-იამ ურთიერთშორის მოლაპარაკებით აქცენტი გააკეთეს იმ მოქალაქეებზე, რომლებზეც 2005-2006 წლებში მიყიდული ჰქონდათ დახერხილი ხის მასალა და შეთანხმდნენ, ორგანიზაციის ბუღალტერიაში წარსადგენად და ამ გზით გასაღების მიზნით, შეედგინათ ყალბი სასაქონლო ზედნადებები, სალაროს შემოსავლის ორდერები და შესყიდვის აქტები, რომლებშიც უჩვენებდნენ არასწორ მონაცემებს დახერხილი ხის მასალის მოცულობის, ფასისა და მიყიდვის თარიღის მითითებით, რის შემდეგ, ნ. გ-იამ და ვ. ტ-უამ 2007 წლის მარტის ბოლო რიცხვებში, 2007 წლის 6 თებერვლის თარიღით, შემდ-გომი გასაღების მიზნით, ყალბად დაამზადეს #1 სასაქონლო ზედნადები, რომელშიც ყალბად უჩვენეს, რომ, თითქოსდა, ქ. ზუგდიდში, ... ქ. #3-ში მცხოვრებ რ. ფ-უას მიჰყიდეს 10მ³ ოდენობით, 1მ³ 210 ლარად, სულ - 2100 ლარის ღირებულების დახერხილი წიწვოვანი ხის მასალა. რეალურად კი ამ

ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, გაუნახევრდა და მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ნ. გ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. ნ. გ-იას 3 წლის ვადით აევრძალა სამეწარმეო საქმიანობა.

მ. ფ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით - ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 3 წლის ვადით აევრძალა სამეწარმეო საქმიანობა და დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, გაუნახევრდა და მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, გაუნახევრდა და მიესაჯა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მ. ფ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. ფ-იას 3 წლის ვადით აევრძალა სამეწარმეო საქმიანობა.

მსჯავრდებულ ნ. გ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატები - ე. კ-ავა და მ. ჭ-უა საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ნ. გ-იას გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან; წინასწარი გამოძიების დროს არავითარი ყურადღება არ მიექცა ობიექტური სინამდვილის დადგენას; განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ, შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, არ აღმოფხვრილა მტკიცებულებათა შორის წინააღმდეგობა, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს სასამართლოს განაჩენს; სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის ობიექტური გადაწყვეტისათვის არსებული მტკიცებულებანი, განაჩენის გამოსატანად დაეყრდნო ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც დაუშვებელია და საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

მსჯავრდებულ მ. ფ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ყ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მ. ფ-იას გამართლებას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან; წინასწარი გამოძიების დროს არავითარი ყურადღება არ მიექცა ობიექტური სინამდვილის დადგენას; სააპელაციო სასამართლო არ შეეხო მსჯავრდებულთა სასარგებლოდ მოპოვებულ რეალურ მტკიცებულებებს, არ აღმოფხვრია მტკიცებულებათა შორის არსებული წინააღმდეგობა, განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო მტკიცებულებებს, რომლებიც დაუშვებელია.

მსჯავრდებულების - ნ. გ-იასა და მ. ფ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ჯ. ზ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო, საქმე განხილულია საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევებით; სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი; ნ. გ-იასა და მ. ფ-იას დამნაშავედ ცნობის საკითხი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან; არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები; მტკიცებულებად გამოყენებულია დაუშვებელი მტკიცებულებანი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ მსჯავრდებულების - ნ. გ-იასა და მ. ფ-იას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

განაჩენით მსჯავრდებულების - ნ. გ-იასა და მ. ფ-იას მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია დაზარალებულების - სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ აქციონერების - მ. ქ-იას, რ. ბ-იას, ნ. ჯ-იას, ნ. ჯ-ავას, ი. თ-იას, ბ. კ-იას, ზ. ა-იას, ე. გ-უას, ჯ. ფ-იას, ვ. ჭ-უას, გ. წ-შვილის, ე. გ-შვილის, ო. გ-ავას, რ. ბ-იას, ს. ს-ოვას, ფ. ე-უას, ზ. შ-ძის, ლ. ჭ-იას, გ. გ-ძის, კ. ჯ-იას, ს. ლ-იას, ვ. კ-კოს, ვ. კ-უას ჩვენებებით, სს „ზუგდიდსოფლტექნიკის“ იურიდიული და დაბეგვის საქმეებით, ამოღებული საბუღალტრო დოკუმენტაციით, ოდიშისა და ზემო

სვანეთის სატყეო მეურნეობებიდან წარმოდგენილი ხე-ტყის ფონდებისა და ათვისების მდგომარეობის მონაცემებით, სს „ზუგდიდსოფლტექნიკიდან« მიღებული ექსპორტის მონაცემებით და დახერხილი მასალების თვითღირებულებებით, დასავლეთის საბაჟოებიდან მიღებული დოკუმენტაციით, საქართველოს შსს საექსპორტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული რევიზიის აქტით, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული სასაქონლო ზედღირებულებით, სალაროს შემოსავლის ორდერებით, შესყიდვის აქტებით, 2007 წლის 6 ივნისისა და 2008 წლის 23 აპრილის კომპლექსური სასაქონლო საბუღალტრო ექსპერტიზების დასკვნებით, საგადასახადო შემოწმების აქტებით, 2004-2006 წლებში ხე-ტყის გადაზიდვის შესახებ დოკუმენტებით, მსჯავრდებულების - მ. ფ-იას, ზ. გ-იას, ვ. ტ-უას, ო. შ-იას, თ. ხ-იას ჩვენებით, მოწმების - ჯ. გ-იას, გ. კ-იასა და სხვათა ჩვენებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

განაჩენის დადგენის დროს სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულების - ნ. გ-იასა და მ. ფ-იას მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მათი პიროვნება და დაუნიშნა სამართლიანი სასჯელები.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. გ-იას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. ნ. გ-იას 3 წლის ვადით უნდა აეკრძალოს სამეწარმეო საქმიანობა.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ფ-იას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 3 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა მიესაჯოს 11 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე დამატებითი სასჯელის სახით უნდა შეეფარდოს ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. ფ-იას 3 წლის ვადით უნდა აეკრძალოს სამეწარმეო საქმიანობა.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციის მომართვის შესაბამისად, მ. ფ-ია შეწყალებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის #767-ე განკარგულების საფუძველზე და მას მოსახდელად დარჩენილი სასჯელი გაუნახევრდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ფ-იას მოსახდელად დარჩენილი სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად დარჩეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა მას უნდა დაეწეოს 2008 წლის 24 ნოემბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. გ-იას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით - გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ფ-იას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი

- 3 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახვერდეს. მას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 218-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს 11 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ფ-იას საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის #767-ე განკარგულების საფუძველზე მოსახდელად დარჩენილი სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახვერდეს და მოსახდელად დარჩეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა მას უნდა დაეწყოს 2008 წლის 24 ნოემბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტომობილის გატაცება დროებითი სარგებლობის მიზნით

განჩინება

#407-აპ

31 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი
შემადგენლობით:**

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. რ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააკველიციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განაჩენზე, რომლითაც ა. მ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით ა. მ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 7 მაისდან.

განაჩენით ა. მ-შვილს მსჯავრი დაედო მარცვაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 6 მაისს, დაახლოებით 20.00 საათზე, თელავის რაიონის სოფელ ... მცხოვრები ა. მ-შვილი იმყოფებოდა სტუმრად მეგობარ გ. მ-შვილთან, მის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. რუსთავში, ... მე-3 ჩიხის #2-43-ში, რა დროსაც ა. მ-შვილმა გ. მ-შვილს შესთავაზა, აღენიშნათ გიორგობის დღესასწაული. ა. მ-შვილი და გ. მ-შვილი ამ უკანასკნელის კუთვნილი, რუხი ფერის „ბმვ-520« მარკის ავტომანქანით, წავიდნენ რუსთავის მე-12 მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ ლუდის ბარში. ა. მ-შვილი, აპირებდა რა თბილისში წასვლას, ლუდის ბარიდან გასვლის შემდეგ გ. მ-შვილმა მიიყვანა შარტავას მოედანზე არსებულ გაჩერებაზე. გ. მ-შვილი გადმოვიდა მანქანიდან, რათა გაეჩერებინა თბილისი-რუსთავის მიმართულებით მიმავალი სამარშრუტო ტაქსი, ხოლო ა. მ-შვილი დატოვა ა/მანქანაში, რა დროსაც ამ უკანასკნელმა განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა გ. მ-შვილის კუთვნილ, რუხი ფერის „ბმვ-520« მარკის, ა/მანქანას. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მან ისარგებლა აღნიშნული ვითარებით, უკანონოდ დაეუფლა ა/მანქანის გასაღებს, რომელიც გ. მ-შვილს დატოვებული ჰქონდა ა/მანქანაში და აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა გ. მ-შვილის კუთვნილ, 5400 ლარად ღირებულ ავტომანქანას, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. იმავე ღამეს ა. მ-შვილი აღნიშნული ავტომანქანით დააკავეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა.

2007 წლის 6 ივნისს საქმე საბრალდებო დასკვნით რუსთავის საქალაქო სასამართლოში შევიდა სსკ-ის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულით. 2007 წლის 15 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა და მოითხოვა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება განსასჯელისათვის უფრო მიმე ბრალდების წარდგენის მიზნით. საქმე საბრალდებო დასკვნით განსახილველად, სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მესამე

ნაწილის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულით, სასამართლოში შევიდა 2007 წლის 6 ივნისს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. მ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. რ-იამ, რომლებიც ითხოვდნენ ა. მ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, რადგანაც მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება წინასწარ გამოძიებაში დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის 184-ე მუხლით, რომელიც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით გაუქმებულია, ხოლო სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება მას არ ჩაუდენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. მ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. რ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ექვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

მსჯავრდებული პირველად არის სამართალში, ხასიათდება დადებითად, ჰყავს ოჯახი, მცირეწლოვანი გოგონა, რომელიც მკურნალობას საჭიროებს, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. ამდენად, ადვოკატმა მ. რ-იამ ითხოვა, საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენის გაუქმება და ა. მ-შვილის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულ გ. მ-შვილის ჩვენებით, მოწმეების ვ. მ-მის და ვ. ბ-შვილის ჩვენებებით, ამოღების ოქმით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულ ა. მ-შვილის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია, თუმცა სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

მსჯავრდებულმა ა. მ-შვილმა დანაშაული ჩადინა 2007 წლის 6 მაისს. იმ დროისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან ერთად, ასევე დასჯად ქმედებად ითვალისწინებდა ავტომობილის ან სხვა მექანიკური საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას მისაკუთრების მიზნის გარეშე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. მ-შვილი დაზარალებულ გ. მ-შვილის ავტომანქანას დაუფლა დროებითი გამოყენების მიზნით, რის გამოც მისი ქმედება ზუსტად შეესაბამებოდა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედ სსკ-ის 184-ე მუხლის პირველ ნაწილს. ამასთან, პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს განხორციელებული ცვლილებით მოხდა სსკ-ის 184-ე მუხლის დეკრიმინალიზაცია, ვინაიდან მართალია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რითაც ამოღებულ იქნა სსკ-ის 184-ე მუხლი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტომობილის გატაცებას, თუნდაც დროებითი სარგებლობის მიზნით, არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინების სახით უკვე არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. მ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება გათვალისწინებული სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 184-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და მას აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ა. მ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება გათვალისწინებული სსკ-ის 178-ე მუხლის III ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 184-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

ა. მ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქონების დაზიანება მოტყუებით

განჩინება

#2104-აპ

20 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. გ-ძის, აგრეთვე მსჯავრდებულების - ბ. ბ-ძისა და დ. ყ-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის განაჩენით ბ. ბ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 6 დეკემბრიდან.

იმავე განაჩენით დ. ყ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 11 დეკემბრიდან.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის განაჩენის მიხედვით, ბ. ბ-ძესა და დ. ყ-შვილს მსჯავრი დაედოთ ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 2 დეკემბერს, დაახლოებით 18:30 საათზე, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფმა ბ. ბ-ძემ და დ. ყ-შვილმა, ქ. ქუთაისში, ი. გრიშაშვილისა და გ. ტაბიძის ქუჩების გადაკვეთის ადგილის გამოძახებით დაიქირავეს დაზარალებულ პ. ჯ-იანის მართვის ქვეშ მყოფი და მისივე პირადი საკუთრების «ოპელ-ვექტრას» ფირმის ტაქსი, რომლითაც ჯერ მათი თანმხლები თ. ბ-ძე ჩაიყვანეს სამტრედიის რაიონის სოფელ ..., ხოლო შემდეგ იმზავრეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ...-მდე, სადაც მძღოლის მოთხოვნაზე - გადაეხადათ მგზავრობის დანახარჯი - 55 ლარი, მისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, მათ მძღოლ პ. ჯ-იანზე განახორციელეს თავდასხმა, კერძოდ, უკანა სავარძელში მჯდომმა დ. ყ-შვილმა წელის არეში მძღოლს მიაბჯინა უცხო საგანი და მოსთხოვა მის ხელთ არსებული თანხის სრულად გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც პ. ჯ-იანი იძულებული გახდა გადაეცა თავდამსხმელებისათვის 42 ლარი, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ დ. ყ-შვილი და ბ. ბ-ძე, რის შემდეგაც ისინი გადავიდნენ ავტომანქანიდან, დატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის დამცველმა ადვოკატებმა - ა. კ-ძემ და ი. მ-ძემ, აგრეთვე მსჯავრდებულმა დ. ყ-შვილმა, რომლებიც თავიანთი საჩივრებით ითხოვდნენ წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ არავითარ ძალადობას დაზარალებულის მიმართ ადგილი არ ჰქონია. ვინაიდან მათ არ ჰქონდათ მძღოლისათვის გადასაცემი თანხა, მძღოლ პ. ჯ-იანს ანგარიშწარმოების გარანტად მისცეს ბანკის პლასტიკური ბარათი და დაჰპირდნენ თანხის 3-4 დღეში გადახდას, რის შემდეგაც ჩვეულებრივ დაემშვიდობნენ ერთმანეთს და მათ შორის არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის განაჩენში მსჯავრდებულების - ბ. ბ-ძისა და დ. ყ-შვილის მიმართ შევიდა შემდეგი ცვლილება: ბ. ბ-ძისა და დ. ყ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და მათ

მსჯავრი დაედოთ ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობისათვის, რისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა – თითოეულს 4 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა გ. გ-მემ. სახელმწიფო ბრალმდებელი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულთა მიმართ საქმის დაბრუნებას ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მოუხსნა მათ ყაჩაღობის ბრალდება, ამასთან, დანიშნული სასჯელები არის ზედმეტად ღმობიერი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ასევე მსჯავრდებულებმა – ბ. ბ-მემ და დ. ყ-შვილმა, რომლებიც თავიანთი საჩივრებით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაც მითითებული იყო სააპელაციო საჩივრებში, რომ მათ არ ჩაუდენიათ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედება, ხოლო განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულ პ. ჯ-იანის არასწორ ჩვენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების – ბ. ბ-მისა და დ. ყ-შვილის მიმართ, აგრეთვე შეამოწმა მათი საკასაციო საჩივრებისა და სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, დაზარალებულ პ. ჯ-იანის ჩვენებები არის აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო, რომელთა საფუძველზე შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს, რომ მსჯავრდებულებმა – ბ. ბ-მემ და დ. ყ-შვილმა მასზე განახორციელეს ყაჩაღური თავდასხმა, მისი ქონების დაუფლებისა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დაზარალებულის მიერ მომხდარი შემთხვევის გარემოებების არასწორად გადმოცემას კიდევ უფრო აშკარას ხდის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები – მოწმეთა ჩვენებები, დაზარალებულის ჩვენების შემთხვევის ადგილზე შემოწმების ოქმი და სხვა. პროკურორ გ. გ-მეს თავის საკასაციო საჩივარში ვერ მოჰყავს რეალური და დამაჯერებელი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილად მოხდა ყაჩაღობა, ამასთან, კასატორი გვერდს უვლის ყველა მტკიცებულებას, რომლებიც მისი პოზიციის უსაფუძვლობას ადასტურებენ. ამ მხრივ საკმარისია მივუთითოთ თუნდაც იმ ფაქტზე, რომ მომხდარი შემთხვევის შემდეგ მსჯავრდებულებმა დაზარალებულს დაუტოვეს დ. ყ-შვილის პლასტიკური ვიზა-ბარათი მისი ზუსტი პერსონალური მონაცემებით, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ დაზარალებული ნახა ბ. ბ-მემ და გადასცა მას მგზავრობის ღირებულების ნაწილი, რაც მთლიანად გამორიცხავს ყაჩაღობის ჩადენის განზრახვის არსებობას და რის გამოც კასატორის, პროკურორ გ. გ-მის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვისათვის დაბრუნების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამავე დროს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ მისცა სამართლებრივად აშკარად არასწორი შეფასება, როდესაც ბ. ბ-მისა და დ. ყ-შვილის ქმედება დააკვალიფიცირა როგორც თაღლითობა, ჩადენილი ჯგუფურად, ვინაიდან თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე მოტყუების გზით ეუფლება სხვის კუთვნილ მოძრავ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავისი ნებით გადასცემს დამნაშავეს ან თავისი ნებით უთმობს უფლებას ნივთზე. მოცემულ შემთხვევაში კი არც ბ. ბ-მე და არც დ. ყ-შვილი არ დაუფლებია დაზარალებულ პ. ჯ-იანის კუთვნილ ფულს ან რაიმე სხვა ნივთს, ასეთი რამ დადგენილი არ არის, მათ პ. ჯ-იანს არ გადაუხადეს ტაქსით მგზავრობის ღირებულება, ანუ ის თანხა, რომელიც პ. ჯ-იანს მათგან უნდა მიეღო, მაგრამ ვერ მიიღო, რაც იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედების შემადგენლობას როგორცაა ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ე.ი. ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, როდესაც არ არსებობს თაღლითობის ნიშნები. მოცემულ შემთხვევაში ქონების ანუ ავტომანქანის მესაკუთრემ (მფლობელმა) პ. ჯ-იანმა განიცადა ქონებრივი ზიანი იმ მხრივ, რომ მისი კუთვნილი ტაქსით ისარგებლეს მსჯავრდებულებმა, მგზავრობის ღირებულება კი არ გადაუხადეს, ხოლო მოტყუებას რომ ჰქონდა ადგილი, დასტურდება შემდეგი გარემოებით: ბ. ბ-მემ და დ. ყ-შვილმა, როდესაც ტაქსი გამოიძახეს, წინდაწინვე იცოდნენ, რომ მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებელი თანხა არ ჰქონდათ და ამის შესახებ ტაქსის მესაკუთრე, პ. ჯ-იანი არ გააფრთხილეს. მართალია, შემდგომში ბ. ბ-მემ მას მიუტანა თანხის ნაწილი, მაგრამ ეს უკანასკნელი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჩადენილი დანაშაულის ქმედითი მონაწილეობა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასჯელის ზომის განსაზღვრისას. ასეთივე მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმ ფაქტს, რომ დ. ყ-შვილმა დაზარალებულს დაუტოვა თავისი საკრედიტო ვიზა-ბარათი.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულების – ბ. ბ-მისა და დ. ყ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტადან უნდა

გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და უნდა შეფასდეს როგორც ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულები პირველად არიან სამართალში, ხასიათდებიან დადებითად და მათ ქმედებას არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზიანი, მათ უნდა დაენიშნოთ სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც არ იქნება ზედმეტად მკაცრი, მაგრამ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და რესოციალიზაციის თვალსაზრისით.

ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულთა საკასაციო საჩივრების მოტივებს მათი უდანაშაულობის თაობაზე, რადგან ასეთი პოზიცია არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და სათანადოდ ვერ დასტურდება, რის გამოც მათი საჩივრის მოთხოვნა საქმის შეწყვეტის თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ბ. ბ-ძისა და დ. ყ-შვილის მსჯავრდების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - მატერიალური სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, ანუ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველია, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულების - ბ. ბ-ძისა და დ. ყ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორ გ. გ-ძის, აგრეთვე მსჯავრდებულების - ბ. ბ-ძისა და დ. ყ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ბ. ბ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე, იმავე განაჩენში მსჯავრდებულ დ. ყ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნიეთის დაზიანება ან განადგურება

განჩინება

#173-აპ

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. თ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით თ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, და-ნიშნული სასჯელი პირობით არ იქნა გამოყენებული და მას გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი;

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენის მიხედვით, თ. თ-შვილს მსჯავრი დაედო სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: 2007 წლის 28 ივნისს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორები - ზ. ქ-ქე და გ. გ-შვილი სამსახურებრივი ავტომანქანით ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე. დაახლოებით 21:00 საათზე ქარელის რაიონის სოფელ მოხისთან მათ შენიშნეს საავტომობილო გზის გვერდულზე გაჩერებული «გაზ-21» მარკის ავტომანქანა. ავტომანქანასთან იდგა მძღოლი თ. თ-შვილი, რომელსაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიმართეს, ხომ არ ესაჭიროებოდა დახმარება, რა დროსაც შეამჩნიეს, რომ იგი იყო მთვრალი. თ. თ-შვილმა პატრულ-ინსპექტორებს სთხოვა, მიეცათ მისთვის საშუალება თავისი ავტომანქანით გაეგრძელებინა მოძრაობა, რათა ქარელის რაიონის სოფელ ქვენათოკცაში მიეყვანა ბიძამისი გ. გ-შვილი. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მთვრალ თ. თ-შვილს არ მისცეს ავტომანქანით მოძრაობის გაგრძელების საშუალება, რაზეც განაწყენებულმა თ. თ-შვილმა მუშტი ორჯერ დაარტყა საპატრულო პოლიციის ავტომანქანის წინა საქარე მინას, რითაც დააზიანა იგი და გამოიწვია 282 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. თ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენის შეცვლას დამატებითი სასჯელად დანიშნული ჯარიმის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: თ. თ-შვილი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა ძირითადი სასჯელისაგან. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. თ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენის გაუქმებას, ხოლო დამატებითი სასჯელის - ჯარიმის სახით კანონით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობის დაკისრებას იმ მოტივით, რომ ჰყავს ონკოლოგიური ავადმყოფი დედა, რომელიც საჭიროებს მკურნალობას, ის და მისი მეუღლე თავს ირჩენენ მცირეშემოსავლიანი კერძო სამუშაოებით, კმაყოფაზე ჰყავთ ორი სტუდენტი შვილი, რომელთა სწავლების საფასურის გადახდა ძალიან უჭირთ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. თ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომ თ. თ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დადასტურებულია როგორც თვით მსჯავრდებულის, ასევე დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. თ-შვილის მიმართ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა თავიანთი განაჩენებით სასჯელი დანიშნეს ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და საქმის იმ მასალების გათვალისწინებით, რომლებიც საქმეში არსებობდა აღნიშნულ სასამართლო ინსტანციებში ამ საქმის განხილვისას. ამავე დროს საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საკასაციო ინსტანციაში მსჯავრდებულმა თ. თ-შვილმა წარმოადგინა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილების მიერ გაცემული ცნობები, რომლებითაც დადასტურებულია, რომ თ. თ-შვილი და მისი მეუღლე ლ. ჯ-შვილი არანაირ პენსიასა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიას არ იღებენ; ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან წარმოდგენილი ცნობით დადასტურებულია, რომ თ. თ-შვილი და მისი მეუღლე ლ. ჯ-შვილი არიან უმუშევრები და კმაყოფაზე ჰყავთ ორი სტუდენტი შვილი და მოხუცი მშობლები; გარდა ამისა, სამედიცინო ბარათის ამონაწერით დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულის დედა - ა. თ-შვილი არის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ონკოლოგიური ავადმყოფი. ამასთან, შესაბამისი სასწავლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ მსჯავრდებულის შვილები - ს. თ-შვილი თბილისის საერო უნივერსიტეტ «გენათის» სტომატოლოგიური განყოფილების მე-5 კურსის სტუდენტია, ხოლო ი. თ-შვილი - თბილისის პროგრამირების სპეციალიზებული კოლეჯის მე-2 კურსის სტუდენტი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ თ. თ-შვილის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველია. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი

მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლითა და სხვა გარემოებით. საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის მაქსიმალური ზომა თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. თ-შვილს დამატებითი სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა - 4000 ლარის ოდენობით უნდა შეუმცირდეს მინიმალურ ოდენობამდე და მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის - 500 ლარის გადახდა. ამრიგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ თ. თ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ თ. თ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. თ-შვილს დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

ბანდიტიზმი

განჩინება

#1423-აპ

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. შ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ კ. ლ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ ზვ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ ზა. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ რ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ძის, მსჯავრდებულ მ. წ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ძის, მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ძის, მსჯავრდებულების - დ. ჟ-ძის, ზ. ც-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 ნოემბრის განაჩენით:

აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორ ფ. ქ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორ ფ. ქ-ძეს, განსასჯელ ე. ყ-შვილსა და ადვოკატ მ. ვ-ძეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ე. ყ-შვილის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს სსკ-ის მე-19, 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «მ» ქვეპუნქტის საფუძველზე, ამ ნაწილში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო.

ე. ყ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია) 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 186-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-18, 144-ე მუხლის პირველი

ე. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით (2007 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 13 მაისიდან.

დ. ჟ-ძის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს სსკ-ის მე-19, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «მ» ქვეპუნქტის საფუძველზე, ამ ნაწილში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო.

დ. ჟ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით (2007 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 30 მაისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულების: ზვ. ბ-ძის, ზა. ბ-ძის, კ. ღ-ძის, ე. ყ-შვილის, პ. შ-ძის, მ. წ-ძის, რ. კ-ძის, ა. გ-ძის, რ. ა-ძის, ზ. ც-ძის, გ. ბ-ძის, ე. მ-ძისა და დ. ჟ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებმა ზვ. ბ-ძემ მყარი ბანდიტური დაჯგუფების შექმნისა და შემდგომში დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების მიზნით, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა 3 «აკმ-ის» სისტემის 7,62მმ კალიბრის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს, 2 პისტოლეტს, ხელყუმბარებს და საბრძოლო მასალას, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა, რომელთაგან: ერთი 7,62 მმ კალიბრის, 1943 წლის ნიმუშის საბრძოლო ვაზნა, განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის «კალაშნიკოვის» კონსტრუქციის ავტომატებისათვის ამოღებულ იქნა 2004 წლის 10 დეკემბერს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... ვ. ფ-ძის ოჯახზე ბანდიტურ თავდასხმასთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს; 7,62 მმ კალიბრის «კალაშნიკოვის» კონსტრუქციის „აკმ-ის“ სისტემის #კგ9195 ერთი ავტომატი, ორი მჭიდითა და 52 7,62 მმ კალიბრის საბრძოლო ვაზნით, აღმოჩენილ იქნა 2005 წლის 21 იანვარს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... , იქვე მცხოვრებ ზ. მ-ილისა და დ. ბ-ძის მიერ; 123 7,62 მმ კალიბრის, 1943 წლის ნიმუშის საბრძოლო ვაზნა, განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატებისათვის, ამოღებულ იქნა 2005 წლის 23 ნოემბერს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... რე. თ-ძის ოჯახზე ბანდიტურ თავდასხმასთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს; ერთი 7,62 მმ კალიბრის «კალაშნიკოვის» კონსტრუქციის ავტომატებისათვის განკუთვნილი ვაზნა ამოღებულ იქნა 2006 წლის 29 აპრილს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... თ. ქ-ძის ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმასთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს; ერთი «იჟ-58» მოდელის 16 მმ კალიბრის, ორლოლიანი, გადაჭრილი #ლ1748 თოფი, რომელიც მის კონსტრუქციაში შეტანილი ცვლილებების გამო მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ერთი ქარხნული წესით დამზადებული, «ფ-1» ტიპის საბრძოლო ხელყუმბარა ამოღებულ იქნა 2007 წლის 13 აპრილს მისი ბანდის წევრის - ე. ყ-შვილისაგან.

ზვ. ბ-ძე 2004 წლის ზაფხულში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... დანაშაულებრივად დაუკავშირდა ახლო მეგობრულ და ნათესაურ კავშირში მყოფ, თავის ნდობით აღჭურვილ პირებს - ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ კ. ღ-ძეს და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ზა. ბ-ძეს, რომლებთან ერთად განიზრახა, შეექმნა მყარი, მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი ცეცხლსასროლი იარაღებით, საბრძოლო მასალითა და ასაფეთქებელი მოწყობილობებით შეიარაღებული ჯგუფი (ბანდა) მშვიდობიან მოქალაქეთა ოჯახებსა და საწარმოთა ოფისებზე თავდასხმის მიზნით. ზვ. ბ-ძემ თავის თანამზრახველებთან - კ. ღ-ძესა და ზა. ბ-ძესთან ერთად, თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შეარჩია და ბანდაში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა დროს გადაიბირა ახლო მეგობრულ და ნათესაურ კავშირში მყოფი პირები: ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრები მ. წ-ძე, ე. ყ-შვილი, დ. ჟ-ძე, რ. ა-ძე, ა. გ-ძე, ე. მ-ძე, ზ. ც-ძე, გ. ბ-ძე, ასევე - ხელვაჩაურის რაიონის დაბა ... , ... ქუჩა #13, ბინა #49-ში მცხოვრები პ. შ-ძე და ქალაქ ბათუმში, მცხოვრები რ. კ-ძე და შეთანხმდნენ, ერთად განეხორციელებინათ მშვიდობიან მოქალაქეთა ოჯახებსა და საწარმოთა ოფისებზე შეიარაღებული თავდასხმები.

თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ზვ. ბ-ძემ ზა. ბ-ძესთან ერთად დაგეგმა თავდასხმა თავისივე სოფელში მცხოვრებ, მამა-შვილ თ. და ვ. ფ-ძეების ოჯახებზე. ამ მიზნით 2004 წლის 10 დეკემბერს, საღამოს საათებში, ზვ. ბ-ძე, ზა. ბ-ძე, ე. ყ-შვილი, პ. შ-ძე, მ. წ-ძე, რ. კ-ძე, დ. ჟ-ძე და რ. ა-ძე შეიკრიბნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... , სადაც ზვ. ბ-ძემ, როგორც ბანდიტური დაჯგუფების შემქმნელმა და ხელმძღვანელმა, ორგანიზება გაუკეთა დანაშაულის ჩადენას, კერძოდ, გაანაწილა მის მიერ შექმნილ და ამავე ბანდაში შემავალ წევრებს შორის ფუნქციები, თუ ვის, რა როლი უნდა შეესრულებინა ფ-ძეების ოჯახზე ბანდიტური თავდასხმის დროს, აღჭურვა ბანდის წევრები საბრძოლო მასალით, ხელყუმბარებით, პისტოლეტებით, გადაჭრილი თოფებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და იმავე საღამოს, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე, ერთად მივიდნენ თ. და ვ. ფ-ძეების საცხოვრებელ სახლებთან, რა დროსაც თავდასხმის დაწყებამდე, ბანდის ერთ-ერთმა წევრმა ზა. ბ-ძემ, სხვა წევრებთან წინასწარი შეთანხმებით, ფსიქოტროპული საშუალება „აზალუპტინის“ გამოყენებით მოწამლა თ. ფ-ძის ძაღლი, რათა უზმაუროდ და წინააღმდეგობის გარეშე შეეღწიათ სახლში და გაადვილებოდათ დანაშაულის ჩადენა, რის შემდეგაც ბანდის ორგანიზატორის - ზვ. ბ-ძის დავალებით, რ. ა-ძე დარჩა ეზოში სათვალთვალოდ, ხოლო დანარჩენები კი წინასწარი შეთანხმებისამებრ, ზვ. ბ-ძის დავალებით განაწილდნენ ორ ჯგუფად.

კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღებით, საბრძოლო მასალით შეიარაღებულ და სახეზე ნიღბებამოფარებულ ერთ ჯგუფს - ზვ. ბ-ძის, ე. ყ-შვილის, მ. წ-ძისა და რ. კ-ძის შემადგენლობით, თავდასხმა უნდა განეხორციელებინა ვ. ფ-ძის ოჯახზე, ხოლო მეორე ჯგუფს - ზა. ბ-ძის, პ. შ-ძისა და დ. ჟ-ძის შემადგენლობით - თ. ფ-ძის ოჯახზე.

ზვ. ბ-ძე, თავისი ჯგუფის წევრებთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღებით, საბრძოლო მასალით შეიარაღებული და სახეზე ნიღბებამოფარებული, თავს დაესხა ვ. ფ-ძის ოჯახს. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ თვით ვ. ფ-ძე, მისი მეუღლე მ. ქ-ძე, არასრულწლოვანი შვილები - გ. და ნ. ფ-ძეები, სტუმრად მყოფი ძმისშვილები - ჯო. და ჯი. ფ-ძეები და ოჯახის ახლომედი ა. ქ-ძე. თავდამსხმელები ვ. ფ-ძესა და მის სახლში მყოფ ზემოაღნიშნულ პირებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულებდნენ, რომ არ გაეწიათ წინააღმდეგობა და მიეცათ თანხა და ძვირფასეულობა. მიუხედავად ამისა, ვ. ფ-ძემ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და წინააღმდეგობა გაუწია მათ, შეეცადა, ერთ-ერთი თავდამსხმელის - მ. წ-ძისათვის წაერთმია მის ხელთ არსებული პისტოლეტი, რა დროსაც ზვ. ბ-ძემ ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით, კერძოდ, ვ. ფ-ძის მეუღლის მ. ქ-ძისა და არასრულწლოვანი შვილების - ნ. და გ. ფ-ძეების თვალწინ, თავდასხმის გაადვილების მიზნით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, „აკმ-ის« სისტემის 7,62 მმ კალიბრის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთხელ გასროლით ვ. ფ-ძეს მიაყენა ორივე ბარძაყის შუა მესამედში გამჭოლი ცეცხლნასროლი, სიცოცხლისათვის საშიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. ან, ასევე, მის ხელთ არსებული იმავე ცეცხლსასროლი იარაღიდან ვ. ფ-ძისათვის სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენების შემდეგ, სტუმრად მყოფ ჯო. ფ-ძეს, რომელიც ცდილობდა ბოროტმოქმედებისაგან თავის დაღწევას, ორივე ბარძაყის მიდამოში მიაყენა ცეცხლნასროლი, მსუბუქი ხარისხის დაზიანება, რის შემდეგაც ზვ. ბ-ძემ, თანამზრახველებთან ერთად შექმნა რა ყველანაირი პირობა თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მ. ქ-ძის კუთვნილი „სამსუნგის« ფირმის „ე-800« მოდელის მობილური ტელეფონი, ღირებული 350 ლარად, რომელიც თავდასხმის შემდეგ, მისივე დავალებით, გაანადგურეს ჯგუფის სხვა წევრებმა.

იმავედროულად, ზვ. ბ-ძის დანარჩენი თანამზრახველების მეორე ჯგუფი - ზა. ბ-ძის, პ. შ-ძისა და დ. ჟ-ძის შემადგენლობით, რომლებსაც სახეზე ნიღბები ჰქონდათ ჩამოფარებული, ცეცხლსასროლი იარაღებითა და საბრძოლო მასალით შეიარაღებულები, თავს დაესხა თ. ფ-ძის ოჯახს. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ თვით თ. ფ-ძე, მისი მეუღლე ი. ფ-ძე და რძალი ც. გ-ძე. თავდამსხმელებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულეს ოჯახის წევრები, რომ არ გაეწიათ წინააღმდეგობა და მიეცათ თანხა და ძვირფასეულობა, რის შემდეგაც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს ც. გ-ძის კუთვნილი, ბურთულის ფორმის ოქროს ბეჭედი, საყურები, ცირკონის 17-თვლიანი, ნავისებური ფორმის ოქროს ბეჭედი, ცირკონის 7-თვლიანი, მრგვალი ფორმის ოქროს ბეჭედი და ცირკონის ერთთვლიანი ოქროს ბეჭედი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 320 ლარი. თავდასხმის დროს ბანდის ერთ-ერთი წევრი - ზა. ბ-ძე, თავის თანამზრახველებთან შეუთანხმებლად, დამოუკიდებლად ავიდა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ც. გ-ძის შვილის, ჯო. ფ-ძის კუთვნილ „სამსუნგის« ფირმის „ა-800« მოდელის მობილურ ტელეფონს, ღირებულს 840 ლარად. თავდასხმის დროს, თ. ფ-ძის მეუღლე ი. ფ-ძე ბანდის წევრებს უწევდა წინააღმდეგობას და ასე ცდილობდა თავის დაღწევას, რის გამოც დ. ჟ-ძე შეეცადა მის შეჩერებას, ამ ჭიდილში ორივე მათგანი წაიქცა, ხოლო თ. ფ-ძემ, რომელიც მივიდა ი. ფ-ძის დასახმარებლად მოულოდნელად დ. ჟ-ძეს ჩამოხსნა ნიღაბი. თავდამსხმელებმა მათ ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღის კონდახის სხეულის სხვადასხვა ადგილში არაერთგზის დარტყმით თ. ფ-ძეს მიაყენეს სხეულის დაზიანებები, ამ დროს დ. ჟ-ძემ კვლავ მოირგო ნიღაბი.

ზვ. ბ-ძემ, ზა. ბ-ძემ, ე. ყ-შვილმა, პ. შ-ძემ, მ. წ-ძემ, რ. კ-ძემ და რ. ა-ძემ თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა მოიყვანეს სისრულეში, რაც გამოიხატა თ. და ვ. ფ-ძეების ოჯახების წევრებზე ბანდიტურ თავდასხმაში, რის შედეგადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მათ კუთვნილ ნივთებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. შემთხვევის ადგილიდან მიმალვის დროს პ. შ-ძის ერთ-ერთ თანამზრახველს - დ. ჟ-ძეს, თ. და ვ. ფ-ძეების საცხოვრებელი სახლიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, ჩაის პლანტაციებში, დაუვარდა მის ხელთ არსებული 7,62 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის« კონსტრუქციის «აკმ-ის» სისტემის #კგ-9195 ავტომატი, ორი მჭიდითა და 52 7,62 მმ კალიბრის საბრძოლო ვაზნით, რაც აღმოაჩინეს 2005 წლის 21 იანვარს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებმა - ზ. მ-ილმა და დ. ბ-ძემ, რის შემდეგაც ამ პირებმა ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი წარუდგინეს პოლიციელებს.

მას შემდეგ, რაც ბანდიტური ჯგუფის წევრები თავს დაესხნენ თ. და ვ. ფ-ძეების ოჯახებს, ამავე ბანდიტური ჯგუფის წევრებმა - ზვ. ბ-ძის, ზა. ბ-ძის, პ. შ-ძის, ე. ყ-შვილის, რ. კ-ძისა და კ. დ-ძის შემადგენლობით, 2005 წლის გაზაფხულზე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით ერთად განიზრახეს თე. ქ-ძის მძევლად ხელში ჩაგდება და ანგარებითი მოტივით მისი მამის - ს. ქ-ძისაგან შვილის

გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდი თანხის მოთხოვნა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ზვ. ბ-მემ ხსენებული ბანდის წევრებთან ერთად დაგეგმა და მოამზადა თე. ქ-ძის მძევლად ხელში ჩაგდება. გეგმის მიხედვით, როდესაც თე. ქ-მე თავისი კუთვნილი ავტომანქანით მარტო წავიდოდა სოფელ ... ბიძასთან, თ. ქ-ძესთან, ბანდის წევრები - ზა. ბ-მე, პ. შ-მე, ე. ყ-შვილი, რ. კ-მე და კ. ლ-მე, ზვ. ბ-ძის ხელმძღვანელობით, ცეცხლსასროლი იარაღებითა და საბრძოლო მასალით შეიარაღებულები და ნიღაბამოფარებულები, თავს დაესხმებოდნენ თე. ქ-ძეს, შეიპყრობდნენ და წაიყვანდნენ წინასწარ გამზადებულ საიდუმლო ბინაში, ქალაქ ბათუმში, რის შემდეგაც ზვ. ბ-მე და პ. შ-მე გაემგზავრებოდნენ რუსეთის ფედერაციაში, სადაც ს. ქ-ძისაგან მოითხოვდნენ შვილის გამოსასყიდი თანხის გადახდას. ზვ. ბ-მემ დაგეგმა და მოამზადა თე. ქ-ძის მძევლად ხელში ჩაგდება, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო დანაშაულებრივი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში, რადგან თავდასხმამდე ორი დღით ადრე თე. ქ-მე გაემგზავრა ბათუმიდან.

მას შემდეგ, რაც ბანდიტური ჯგუფის წევრები თავს დაესხნენ თ. და ვ. ფ-ძეების ოჯახებს და ასევე განიზრახა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... თე. ქ-ძის მძევლად ხელში ჩაგდება, ამავე ბანდიტური ჯგუფის წევრებმა - ზვ. ბ-მემ, ზა. ბ-მემ, პ. შ-მემ, რ. კ-მემ და კ. ლ-მემ ერთად განიზრახეს, განეხორციელებინათ თავდასხმა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ რე. თ-ძის ოჯახზე.

თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2005 წლის 23 ნოემბერს, ღამის საათებში, ზვ. ბ-მე და ჯგუფის ზემოაღნიშნული წევრები შეიკრიბნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., სადაც შეიარაღდნენ ხელყუმბარებით, პისტოლეტებით, გადაჭრილი თოფებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და იმავე ღამეს, დაახლოებით 2 საათსა და 30 წუთზე, მივიდნენ რე. თ-ძის საცხოვრებელ სახლთან. თავდასხმის დაწყებამდე ბანდის ერთ-ერთმა წევრმა ზა. ბ-მემ, უკვე ჩვეული ხერხით, რათა უხმაუროდ და წინააღმდეგობის გარეშე შეედწიათ სახლში და გაადვილებოდათ დანაშაულის ჩადენა, ფსიქოტროპული საშუალება „აზალეპტინის“ გამოყენებით მოწამლა რე. თ-ძის ძაღლი, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი იარაღებითა და საბრძოლო მასალით შეიარაღებული ზვ. ბ-მე, ზა. ბ-მესა და ზემოაღნიშნული ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, რომლებსაც სახეზე ნიღბები ჰქონდათ ჩამოფარებული, თავს დაესხა რე. თ-ძის საცხოვრებელ სახლს. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ თვით რე. თ-მე, მისი მეუღლე პ. თ-მე, შვილი რო. თ-მე, რძალი ი. თ-მე და მცირეწლოვანი შვილიშვილი. თავდამსხმელები რე. თ-მესა და მის სახლში მყოფ ოჯახის ზემოაღნიშნულ წევრებს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც გამოიხატებოდა ოჯახის თითოეულ წევრზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობასა და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში - მათი მოკვლის მუქარაში, აიძულებდნენ, რომ არ გაეწიათ წინააღმდეგობა. მიუხედავად ამისა, რე. თ-მემ ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და ერთ-ერთ თავდამსხმელს წაართვა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რის შემდეგაც მოხსნა მჭიდი და დააგდო იატაკზე. თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია ასევე რე. თ-ძის შვილმა - რო. თ-მემ, რომელიც ცდილობდა მეორე თავდამსხმელისათვის წაერთმია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რა დროსაც ზვ. ბ-მემ, რე. თ-ძისა და მისი ოჯახის წევრების მიერ გაწეული აქტიური ფიზიკური წინააღმდეგობის დასახშობად და თავდასხმის გაადვილების მიზნით, ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით, კერძოდ, რო. თ-ძის მშობლების, მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილის თვალწინ, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მის ხელთ არსებული «კალაშნიკოვის» კონსტრუქციის „აკმ-ის» სისტემის 7,62 მმ კალიბრის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთხელ გასროლით რო. თ-ძეს მარცხენა ბარძაყის მიდამოში მიაყენა გამჭოლი, ცეცხლსასროლი ჭრილობები, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება და კანის და კუნთოვანი ქსოვილის დიდი დეფექტი, რის შემდეგაც ზვ. ბ-მემ, თანამზრახველებთან ერთად შექმნა რა ყველანაირი პირობა თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა ი. თ-ძის კუთვნილი, „სიმენსის» ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 180 ლარად და პ. თ-ძის კუთვნილი, „სამსუნგის» ფირმის მობილური ტელეფონი, ღირებული 300 ლარად. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ თავდასხმაში მონაწილე ჯგუფის წევრები მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

ამავე ბანდიტური ჯგუფის წევრებმა - ზვ. ბ-მემ, ზა. ბ-მემ, პ. შ-მემ, ე. ყ-შვილმა, რ. კ-მემ, მ. წ-მემ და ა. გ-მემ კვლავ განიზრახეს, ჩაედინათ თავდასხმა ამჯერად ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ჯ. ს-ძის ოჯახზე. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ზვ. ბ-მემ ბანდის წევრებთან ერთად დაგეგმა, მოამზადა და ორგანიზება გაუკეთა ჯ. ს-ძის ოჯახზე თავდასხმას. მან 2006 წლის გაზაფხულზე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... შეკრიბა და შეაიარაღა თავისი ბანდის ზემოაღნიშნული წევრები, რის შემდეგაც მათთან ერთად, იმისათვის, რომ გარეშე პირთათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო მათი გადაადგილება, ტყის გავლით მივიდა ჯ. ს-ძის საცხოვრებელ სახლთან, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... და სახლთან ახლოს ჩაუსაფრდა, მაგრამ მისი და ბანდის წევრების მოლოდინის მიუხედავად, ჯ. ს-მე იმ დღეს სახლში არ დაბრუნებულა.

ზვ. ბ-ძის მიერ შექმნილ და შეიარაღებულ ბანდიტურ ჯგუფს ჩადენილი ჰქონდა რა ზემოაღნიშნული თავდასხმები, ბანდის წევრებმა - ზვ. ბ-მემ, ზა. ბ-მემ, პ. შ-მემ, ე. ყ-შვილმა, კ. ლ-მემ, რ. კ-

დემ, ა. გ-დემ, ე. მ-დემ, ზ. ც-დემ და გ. ბ-დემ კვლავ განიზრახეს, ჩაედინათ თავდასხმა ამჯერად ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ თ. ქ-ძის ოჯახზე.

თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 29 აპრილს, საღამოს საათებში, ზვ. ბ-მე და ჯგუფის ზემოაღნიშნული წევრები შეიკრიბნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., სადაც შეიარაღდნენ ხელყუმბარებით, პისტოლეტებით, გადაჭრილი თოფებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და იმავე საღამოს, დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე, მივიდნენ თ. ქ-ძის საცხოვრებელ სახლთან. თავდასხმის დაწყებამდე ბანდის ერთ-ერთმა წევრმა ზა. ბ-მემ, უკვე ჩვეული ხერხით, რათა უხმაუროდ და წინააღმდეგობის გარეშე შეეღწიათ სახლში და გაადვილებოდათ დანაშაულის ჩადენა, ფსიქოტროპული საშუალება „აზალეპტინის« გამოყენებით მოწამლა თ. ქ-ძის ძალი, რის შემდეგაც ცეცხლსასროლი იარაღებითა და საბრძოლო მასალით შეიარაღებული ზვ. ბ-მე ზემოაღნიშნული ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, რომლებსაც სახეზე ნიღბები ჰქონდათ ჩამოფარებული, თავს დაესხა თ. ქ-ძის საცხოვრებელ სახლს. ამ დროს სახლში იმყოფებოდნენ თვით თ. ქ-მე და მისი ოჯახის წევრები ქ. და ე. ქ-ძეები, რომელთა მიმართ ზვ. ბ-მემ და ჯგუფის სხვა წევრებმა თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით გამოიყენეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, რაც გამოიხატებოდა ოჯახის თითოეულ წევრზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობასა და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში - მათი მოკვლის მუქარაში. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა თავდამსხმელებმა გამოიყენეს თ. ქ-ძის შვილის - ზ. ქ-ძის მეზობლად მცხოვრებ მ. ა-ძის მიმართ, რომელიც ამ უკანაქნელთან ერთად თავდასხმის დროს ბრუნდებოდა ოჯახში. ამ გზით ზვ. ბ-მემ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა თ. და ქ. ქ-ძეების კუთვნილი თანხა - 15 000 აშშ დოლარის ოდენობით, ოქროს რგოლის ბეჭედი, ოქროს გრებილი ძეწკვი, ოქროს ბეჭედი საფირის თვლებით, ოქროს ბეჭედი ბრილიანტის შვიდი თვლით, ოქროს ბეჭედი ბრილიანტის ხუთი თვლით, ოქროს საყურეები ბრილიანტის ხუთი თვლით, ოქროს საყურეები ბრილიანტის სამი თვლით, სამი ოქროს საათი, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 3000 აშშ დოლარი, „სამსუნგის ფირმის«, „MGH-X200« მოდელის მობილური ტელეფონი, ღირებული 225 ლარად, რის შემდეგაც თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიძალნენ.

2006 წლის 9 მაისს, ზვ. ბ-ძის დავალებით, ე. ყ-შვილი და ე. მ-მე წავიდნენ თურქეთის ქალაქ ხოვამში. მათ მეგზურობას უწევდა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ს. ჩ-ინი. ქალაქ ხოვამში ჩასვლის შემდეგ ისინი მივიდნენ ჰ. უ-აშის კუთვნილ ოქროს ნაკეთობათა მაღაზიაში, სადაც 2300 აშშ დოლარად გაასალეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ოქროს ნივთები: 3 ოქროს საათი და 1 ოქროს რგოლის ბეჭედი, დანარჩენი ოქროს ნივთები დაიტოვეს შემდგომი რეალიზაციისთვის, თვითონ კი დაბრუნდნენ ქალაქ ბათუმში. თავის მხრივ თავდასხმის დროს მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ოქროს სამკაულებიდან დარჩენილი 1 ოქროს ბეჭედი ბრილიანტის 7 თვლით ზვ. ბ-მემ 2006 წლის მაისში ქალაქ თბილისში ყოფნის დროს პირადად გაასალა გ. კ-მეზე, რაც ამოღებულ იქნა მისგან 2007 წლის 23 თებერვალს ქ. ბათუმში გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკის დროს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზვ. ბ-მემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინი«, რომლის ნაწილი მან ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა, ხოლო დანარჩენი ნაწილი, საერთო წონით 0,101 გრამი, უკანონოდ შეინახა თავის სპორტულ ტანსაცმელში, რაც მისგან ამოღებულ იქნა პოლიციის თანამშრომელთა მიერ 2007 წლის 26 თებერვალს ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „მერკურის« მიმდებარე ტერიტორიაზე გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკის დროს.

ზვ. ბ-მეს 2007 წლის 23 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის დაედო რა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, მან ექიმის დანიშნულების გარეშე განმეორებით, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დადგინდა 2007 წლის 26 თებერვალს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის სამსახურში შემოწმების დროს.

ბანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობის გარდა, მ. წ-მე აპირებდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავრებას და ვიზის მისაღებად განიზრახა პირადობის მოწმობისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტის გაყალბების გზით ასაკის მომატება. ამ მიზნით, მან 2004 წლის 12 ივლისს მიმართა ბათუმის საპასპორტო და სამოქალაქო რეესტრის სამსახურს, სადაც გამოძიებით დაუდგენელმა უფლებამოსილმა პირმა განცხადება-ანკეტაში ყალბი ჩანაწერის შეტანით, შეცვალა მისი დაბადების თარიღი - 1983 წლის 21 დეკემბერი და მის დაბადების თარიღად ჩაწერა 1977 წლის 21 დეკემბერი, რითაც 6 წლით გაიზარდა მისი ნამდვილი ასაკი. პირადობის მოწმობის გაცემის თაობაზე ყალბი განცხადება-ანკეტის დამზადების შემდეგ მან იმავე დღეს დაამზადა ყალბი პირადობის მოწმობა #გ 0529363, სადაც შეატანეს ზემოაღნიშნულ განცხადება-ანკეტაში დაფიქსირებული ყალბი მონაცემები.

მ. წ-მემ ყალბი პირადობის მოწმობის დამზადების შემდეგ 2006 წლის 10 მაისს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურში დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი - საქართველოს

მოქალაქის პასპორტი #... , რომელშიც ასევე დაბადების თარიღად ჩაიწერა 1997 წლის 21 დეკემბერი, ნაცვლად 1983 წლის 21 დეკემბრისა.

მ. წ-მემ, მის მიერ დამზადებული საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტის არაერთგზის გამოყენებით, 2007 წლის 15 იანვრიდან 23 იანვრამდე ოთხჯერ უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

მ. წ-მეს 2007 წლის 31 იანვარს ბორჯომის რაიონული სასამართლოს დადგენილებით ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის დადებული ჰქონდა რა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, მან განმეორებით, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი“, რაც დაუდგინდა 2007 წლის 20 მარტს აჭარის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად.

ზანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობის გარდა, ზ. ც-მეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის #4-136 დადგენილებით ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის დადებული ჰქონდა რა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, მან განმეორებით, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რაც დაუდგინდა 2007 წლის 10 აპრილს აჭარის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ზვ. ბ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“, „ზ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით, 118-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებები დანიშნულ სასჯელთან ერთად, როგორც ზედმეტად წარდგენილი; მასვე ამოერიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის მე-18-144-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“, „ი“ ქვეპუნქტებსა და 260-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ზვ. ბ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), მე-18,144-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზა. ბ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის მე-18-144-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებზე.

ზა. ბ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), მე-18,144-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 26 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კ. ლ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის მე-18-144-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებზე.

კ. ლ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), მე-18,144-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 26 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პ. შ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის მე-18-144-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებზე.

პ. შ-მის ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), გადაკვალიფიცირდა 224-ე მუხლის მეორე ნაწილზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

პ. შ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-18,144-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. წ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, მ. წ-მეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდა და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, მ. წ-მე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 3 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მ. წ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), 362-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 344-ე მუხლის პირველი ნაწილით, 273-ე მუხლით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

რ. კ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა მითითება საქართველოს სსკ-ის მე-18-144-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებზე.

რ. კ-ძეს განაჩენიდან ამოერიცხა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

რ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), მე-18,144-ე მუხლის მეხამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 ივნისიდან.

ა. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით (2007 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია) და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. ც-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით, 273-ე მუხლით და დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ე. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. ჟ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით (2007 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ პ. შ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და პ. შ-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; პ. შ-ძეს უკანონოდ დაედო მსჯავრი დანაშაულთა ჩადენაში; მის ქმედებებს მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია; საქმის მასალებში არ მოიპოვება პ. შ-ძის ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა; კასატორის მოსაზრებით, ბანდიტიზმით პირის ბრალდებისათვის, ქმედების კვალიფიკაციისათვის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს; როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა, ქმედება ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 224-ე მუხლით და დამატებითი კვალიფიკაცია შესაბამისი მუხლებით საჭირო არ არის; განაჩენით პ. შ-ძის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა დადასტურებულადაა მიჩნეული ე. ყ-შვილის ჩვენებით, რაც არასწორია, ვინაიდან ეს ჩვენებები მიღებულია ფსიქოლოგიური ზეწოლისა და შანტაჟის გზით; საქმის მასალებით უტყუარად დგინდება ის გარემოება, რომ არც ერთი დაზარალებული და მოწმე პ. შ-ძის დანაშაულებრივი ქმედებაზე არ მიუთითებს, ამ კუთხით რაიმე სახის, თუნდაც არაპირდაპირი მტკიცებულება, საქმეში არ არის.

მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. ბ-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; მის ქმედებას მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია; სასამართლოებს გ. ბ-ძის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე არ დაუდგენიათ; სააპელაციო სასამართლომ გ. ბ-ძის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა დადასტურებულად ცნო ე. ყ-შვილის ჩვენებებითაც, რაც მცდარია. ე. ყ-შვილი გ. ბ-ძეს დანაშაულის ჩადენაში ამხელს იმის გამო, რომ თვითონ თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მასალა არ მიუთითებს გ. ბ-ძის დამნაშავეობაზე.

მსჯავრდებულ კ. ლ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და კ. ლ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო; კ. ლ-ძეს არასწორად დაედო მსჯავრი დანაშაულთა ჩადენაში, მის მიერ ჩადენილ ქმედებებს მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია; კასატორის მოსაზრებით, ბანდიტიზმით პირის ბრალდებისათვის, ქმედების კვალიფიკაციისათვის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს; როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა, ქმედება ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 224-ე მუხლით და დამატებითი კვალიფიკაცია შესაბამისი მუხლებით საჭირო არ არის; კ. ლ-ძის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით არ მტკიცდება, განაჩენით მის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა დადასტურებულადაა მიჩნეული ე. ყ-შვილის ჩვენებით; ე. ყ-შვილის მხრიდან კ. ლ-ძის მხილება გამოწვეულია იმით, რომ თავიდან აიშოროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; საქმის მასალების მიხედვით, არც ერთი მოწმე და დაზარალებული დანაშაულის ჩადენაში კ. ლ-ძეს არ ამხელს.

მსჯავრდებულ ზვ. ბ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო; ზვ. ბ-ძეს არასწორად, უკანონოდ დაედო მსჯავრი დანაშაულთა ჩადენაში; მის ქმედებებს მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია; საქმეში არ მოიპოვება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა; კასატორის მოსაზრებით, ბანდიტიზმით პირის ბრალდებისათვის, ქმედების კვალიფიკაციისათვის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს; როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა, ქმედება ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 224-ე მუხლით და დამატებითი

კვალიფიკაცია შესაბამისი მუხლებით საჭირო არ არის; ამდენად, უდავოა ის ფაქტი, რომ ზვ. ბ-მეს ზედმეტად წარედგინა ბრალდება და დაედო მსჯავრი პირის მძევლად ხელში ჩაგდებისათვის; ზვ. ბ-მის მიერ დანაშაულის ჩადენა დადასტურებულადაა მიჩნეული ე. ყ-შვილის ჩვენებით; ე. ყ-შვილის მხრიდან მისი მხილება გამოწვეულია იმით, რომ თავიდან აიშოროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქმის მასალების მიხედვით, არც ერთი მოწმე და დაზარალებული დანაშაულის ჩადენაში ზვ. ბ-მეს არ ამხელს.

მსჯავრდებულ ზა. ბ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო; ზვ. ბ-მეს არასწორად, უკანონოდ დაედო მსჯავრი დანაშაულთა ჩადენაში; მის ქმედებებს მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია, კასატორის მოსაზრებით, ბანდიტიზმით პირის ბრალდებისათვის, ქმედების კვალიფიკაციისათვის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს; როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა, ქმედება ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 224-ე მუხლით და დამატებითი კვალიფიკაცია შესაბამისი მუხლებით საჭირო არ არის; ამდენად, უდავოა ის ფაქტი, რომ ზვ. ბ-მეს ზედმეტად წარედგინა ბრალდება და დაედო მსჯავრი პირის მძევლად ხელში ჩაგდებისათვის; .

მსჯავრდებულ რ. კ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჭ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და რ. კ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; გამოკვლეული და დადასტურებული არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ რ. კ-მის მიერ დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელ საქმის ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა მსჯავრდებულ ე. ყ-შვილის ჩვენება, რომელიც ერთადერთი «მტკიცებულებაა», სადაც ე. ყ-შვილი უთითებს რ. კ-მის დანაშაულში მონაწილეობის შესახებ და რაც არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან ის მოპოვებულია საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით და არ დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით; განაჩენით რ. კ-მის ქმედებებს მიეცა არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია.

მსჯავრდებულ მ. წ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჭ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მ. წ-მის მიმართ განაჩენის გაუქმებას საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო დანარჩენ ნაწილში - ეკმაროს დანიშნული სასჯელი და გათავისუფლდეს პატიმრობიდან. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არ გამოდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან; სასამართლომ ისე დასდო მსჯავრი მ. წ-მეს ბანდიტიზმში, რომ გამამტყუნებელ განაჩენში არათუ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, არამედ ერთი უტყუარი მტკიცებულებაც კი არ გააჩნდა, რომლითაც დადასტურდებოდა მისი მონაწილეობა ბანდაში. აღნიშნულ ნაწილში განაჩენს საფუძველად უდევს ვარაუდი, ის ეფუძნება მხოლოდ მსჯავრდებულ ე. ყ-შვილის მიერ მიცემულ ჩვენებას, რომელიც ამკარად ტყუილია და არ დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

მსჯავრდებულ გ. ბ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ღ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. ბ-მის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და იგი არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; სასამართლო გამოძიება ჩატარებულია ცალმხრივად და არასრულად; საქმეში არ არსებობს გ. ბ-მის ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

მსჯავრდებული დ. ჟ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და გამოტანილია არამყარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

მსჯავრდებული ზ. ც-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, ეყრდნობა არამყარ მტკიცებულებებს, ერთი დაინტერესებული პირის ცრუ ჩვენებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე შეისწავლა სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ უსაფუძველოა საკასაციო საჩივრების მტკიცება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულებს: პ. შ-მეს, გ. ბ-მეს, კ. ღ-მეს, ზვ. ბ-მეს, რ. კ-მეს, ზვ. ბ-მეს, მ. წ-მეს, დ. ჟ-მესა და ზვ. ც-მეს არ ჩაუდენიათ მათზე საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებები ბანდიტიზმის ეპიზოდში, ასევე, ზვ. ბ-მეს - სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით, ხოლო ზ. ც-მეს - სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულ ე. ყ-შვილის ჩვენებით, დაზარალებულების: თ. ფ-მის, ვ. ფ-მის, გ. ფ-მის, ი. ფ-მის, ც. გ-მის, ჯ. ფ-მის, მ. ქ-მის, პ. თ-მის, თ. ქ-მის, ქ. ქ-მის, ზ. ქ-მის, მ. ა-მის ჩვენებებით, მოწმეების - ი. თ-მის, გ. კ-მის, ვ. ბ-მის, ა. ბ-მის, ნ. ზ-მის, რ. მ-მის, ე. ბ-მის, ტ. ჟ-მის, დ. ბ-მისა და ზ. მოწყობილის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო, ოდოროლოგიური, ქიმიური ექსპერტიზების დასკვნებით, ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნით, პირადი ჩხრეკის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ფარული ვიდეო-აუდიოგადაღების მასალებითა და საქმეში არსებული სხვა

მასალებით მსჯავრდებულების - ზვ. ბ-ძის, ზა. ბ-ძის, კ. ლ-ძის, ე. ყ-შვილის, პ. შ-ძის, მ. წ-ძის, რ. კ-ძის, ა. გ-ძის, რ. ა-ძის, ზ. ც-ძის, გ. ბ-ძის, ე. მ-ძისა და დ. ჟ-ძის მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებთა ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ მ. წ-ძეს სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი ეკმაროს და გათავისუფლდეს პატიმრობიდან და თვლის, რომ სასამართლომ მისი პიროვნებისა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით მ. წ-ძეს დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორების მოსაზრებას და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს: ზვ. ბ-ძეს, ზა. ბ-ძეს, კ. ლ-ძეს, პ. შ-ძესა და რ. კ-ძეს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ საქართველოს სსკ-ის მე-18,144-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით შერაცხული მსჯავრი დანიშნულ სასჯელთან ერთად, ვინაიდან როდესაც ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმას თან ახლავს სხვადასხვა ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა (მოცემულ შემთხვევაში - მიმევლად ხელში ჩადების მომზადება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 224-ე მუხლით და შესაბამისი მუხლებით დამატებითი კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულების პიროვნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და დაუნიშნა მათი ქმედებისა და პიროვნების შესაბამისი სამართლიანი სასჯელები - მსჯავრდების დანარჩენ ეპიზოდებში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ზვ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 8 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 13 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულ მ. წ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), 362-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულ ზ. ც-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 8 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ პ. შ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ კ. ლ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ ზვ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ რ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-შვილის, მსჯავრდებულ მ. წ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-ძის, მსჯავრდებულ გ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ლ-ძის, მსჯავრდებულების: დ. ჟ-ძის, ზ. ც-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულებს - ზვ. ბ-ძეს, ზა. ბ-ძეს, კ. ლ-ძეს, პ. შ-ძესა და რ. კ-ძეს ამოერიცხოთ მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის მე-18,144-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

მსჯავრდებულ ზა. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ კ. ლ-ძეს საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ პ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ რ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ზვ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 8 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 13 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. წ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), 362-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ზ. ც-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 8 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 224-ე მუხლით (1999 წლის რედაქცია), 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება ან გასაღება

განჩინება

#1275-აპ

23 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- მ. ოშხარელი

ზეკირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ფ-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 თებერვლის განაჩენით გ. ფ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, დამზადება და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ფ-ურმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში. გარდა ამისა, მან განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ დაემზადებინა ცეცხლსასროლი იარაღი, რისთვისაც გ. ფ-ურმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „ჰსმ-ის» სისტემის, 5,45 მმ კალიბრის პისტოლეტი, რომელსაც კუსტარული წესით გამოუცვალა ლულა, გაუკეთა ხრახნი მაყუჩისათვის და მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა 6,35 მმ კალიბრიანი ვაზნებისათვის განკუთვნილი პისტოლეტი. მანვე კუსტარული წესით მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა აღნიშნული პისტოლეტისათვის გამოსაყენებელი მაყუჩი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში. გარდა ამისა, გ. ფ-ურმა შეიძინა 16 მმ კალიბრის „ტოზ-63» მოდელის სანადირო თოფი, რომელსაც დაუმოკლა ორივე ლულა და კონდახი, რამაც დაუკარგა იარაღს სანადირო თოფის თვისებები და კუსტარული წესით მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის ბინაში.

2006 წლის 29 სექტემბერს ქ. რუსთავში დააკავეს გ. ფ-ური. იმავე დღეს, გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარდა მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რა დროსაც საძინებელი ოთახიდან ამოიღეს მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული 2 ცალი, 1974 წლის ნიმუშის, 5,45 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა; ასევე - ერთი, 1943 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრის სამხედრო ვაზნა. ამავე ოთახიდან ამოიღეს გ. ფ-ურის მიერ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი, ასევე მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებული და შენახული, 1974 წლის ნიმუშის, 5,45 მმ კალიბრის „ჰსმ-ის» სისტემის პისტოლეტი სანომრე ნიშნების გარეშე, რომელსაც კუსტარული წესით

გამოცვლილი აქვს ლულა და განკუთვნილია 6,35 მმ კალიბრის ვაზნების გასასროლად. იგი მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. პისტოლეტის მჭიდში აღმოჩნდა ერთი, 6,35 მმ კალიბრის, 1906 წლის ნიმუშის „ბრაუნინგის» ვაზნა, რომელიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად. ასევე ამოიღეს კუსტარული წესით მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებული, ზემოაღნიშნული პისტოლეტისათვის განკუთვნილი მყურჭი; ჩხრევისას ამოღებულ იქნა გ. ფ-ურის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებული და შენახული ორლულიანი, 16 მმ კალიბრის „ტოზ-63» მოდელის, კუსტარულად გადაკეთებული, დამოკლებული სანადირო თოფიც, რომელსაც დაკარგული აქვს სანადირო თოფის თვისებები, მიეკუთვნება ატიპურ, გლუვლულიან ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ფ-ურს საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 29 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ბ-ძემ. მან მოითხოვა გ. ფ-ურის გამართლება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილში კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო და ამავე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის შეცვლა ჯარიმით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი გ. ფ-ურის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ფ-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, მხოლოდ შეინახა ნაპოვნი იარაღი; მსჯავრდებულს იარაღი რომ დაემზადებინა, მასზე იქნებოდა თითების ანაბეჭდები, რის გამოც ითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას; თითის კვალი იქნება მხოლოდ პარკზე, რომლითაც გ. ფ-ურმა იპოვა და სახლში მიიტანა იარაღი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად ან ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას და გამართლებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - სასჯელის შეფარდებას იმის გათვალისწინებით, რომ პირველად და სამართალში; ჰყავს ოჯახი, მოხუცი მშობლები; არის მრავალშვილიანი და მრავალწევრიანი ოჯახის ძირითადი მარჩენალი, რომელსაც ინახავდა პატიოსანი შრომით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გ. ფ-ურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა-შენახვა უტყუარადაა დადასტურებულია საქმეში არსებული მასალებით, მოწმეების - ი. ბ-შვილის, ა. ძ-ძის, კ., ი. და მ. ფ-ურების ჩვენებებით, ბინის ჩხრევის ოქმითა და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, მსჯავრდებულის ჩვენებით, რომელმაც სასამართლოში განმარტა, რომ ბინის ჩხრევისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა იპოვა და ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში. მანვე განაცხადა, რომ აღნიშნული იარაღები არ დაუმზადებია.

ამასთან, გ. ფ-ურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში, ვინაიდან საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებული არცერთი უტყუარი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მსჯავრდებულს ჰქონდა თავისივე დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი. ბრალდების ამ ეპიზოდში გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია, რადგან გამოტანილია სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით.

მსჯავრდებულს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რაც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, უნდა შეეცვალოს ჯარიმით.

ვინაიდან გ. ფ-ური პატიმრობაში იმყოფება 2006 წლის 29 სექტემბრიდან, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მსჯავრდებული მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ფ-ურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში გ. ფ-ურის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებელი განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით სასჯელთა შეკრების წესზე;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გ. ფ-ურს სასჯელად დაენიშნოს ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, გ. ფ-ური მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გასაჩივრებელი განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და ტარება

განჩინება

#207-აპ

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. შ-აიასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ბ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე, რომლითაც გ. შ-აია ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, იმავე მუხლის II ნაწილებით და 239-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 სექტემბრის განაჩენით გ. შ-აია ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, იმავე მუხლის II ნაწილებით და 239-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით შეკრების წესით, საბოლოოდ განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 24 ივლისიდან.

განაჩენით გ. შ-აიას მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და ტარება; აგრეთვე - ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. შ-აიამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა კუსტარულად დამზადებული 5,6 მმ კალიბრის რევოლვერი, რასაც იგი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა, რაც 2007 წლის 24 ივლისს გ. შ-აიასაგან, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა პოლიციის მუშაკების მიერ.

2007 წლის 24 ივლისს გ. შ-აია მივიდა რა ქ. ზუგდიდში რ. ... ქუჩის #22-ში მცხოვრებ ვ. ქ-ავას საცხოვრებელი სახლის ჭიშკართან, დაიწყო გინება, რითაც უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგსა და გამოხატავდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. ვ. ქ-ავა მას მოუწოდებდა წესრიგისაკენ. მიუხედავად ამისა, გ. შ-აიამ მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი, კუსტარულად დამზადებული 5,6 მმ კალიბრის რევოლვერიდან მოახდინა ჰაერში ერთი გასროლა, რის შემდეგაც ცდილობდა მიმალვას, თუმცა იგი დაკავებული იქნა პოლიციის მუშაკების მიერ.

ზემოთაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. შ-აიამ და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა - ბ. ყ-შვილმა და მოითხოვეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება, მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. შ-აიამ და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა - ბ. ყ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვენ უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას და საქართველოს სსსკ-ის 504-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად მსჯავრდებულის გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენით მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით შერაცხული ბრალდება, რომელიც დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. შ-აიას დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, პალატის აზრით, არასწორია. დაზარალებულ ვ. ქ-ავას სასამართლოში მიცემული ჩვენებით დგინდება, რომ 2004 წლის 24 ივლისს, დაახლოებით 2 საათსა და 30 წუთზე ძაღლმა დაიწყო ყევა. მან გაიხედა გარეთ და დაინახა, რომ ჭიშკართან იდგა ერთი პირი, რომელიც იგინებოდა უცნაურ სიტყვებით. მან მიმართა უცნობ პიროვნებას თუ რა უნდოდა და რისთვის აპირებდა ეზოში შემოსვლას. შემდგომ დაიწყო კიბეებზე ჩამოსვლა და როცა კიბეებზე ჩამოდიოდა უცნობმა პიროვნებამ მოახდინა ჰაერში გასროლა და გაიქცა. დაზარალებულმა ასევე განმარტა, რომ განსაჯელს მისთვის არ უთქვამს, თუ რა უნდოდა მისგან. პალატა მიიჩნევს, რომ ქმედების ხულიგნობით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, უნდა განხორციელდეს ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

აქედან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. შ-აიას დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არასწორია, უნდა ამოირიცხოს ბრალდებიდან და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილება უნდა შევიდეს დანიშნულ სასჯელში, კერძოდ გ. შ-აიას მიმართ დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს 6 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ« ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. შ-აიასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ბ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

გ. შ-აიას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

გ. შ-აიას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#1405-აპ

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ჩ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 იანვრის განაჩენით კ. ჩ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა და ტარება; ასევე – ხულიგნობა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; ასევე – ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება, შეძენა და გამოყენება და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადასვლა, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ჩ-ძემ გამოიბეჭა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა „აკს-ის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი მას თან ჰქონდა 1994 წლის 29 სექტემბერს, ქ. თბილისში, ისნის ბაზრობის ტერიტორიაზე, სხვა დანაშაულის ჩადენის დროს, რის შემდეგაც იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

კ. ჩ-ძე 1994 წლის 29 სექტემბერს, დაახლოებით 9.³⁰ საათზე, იმყოფებოდა ქ. თბილისში, ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე და, ატარებდა რა თავის მიერ უკანონოდ შეძენილ ცეცხლსასროლ იარაღს, შეხვდა ნაცნობს, აწ გარდაცვლილ ზ. ს-იას, რომელთანაც იმყოფებოდა კონფლიქტურ ურთიერთობაში. ამ მოტივით მათ შორის მოხდა შეკამათება, რაც გადაიზარდა ჩხუბში. კ. ჩ-ძემ, საზოგადოების თვალწინ, ხმამაღლა უცენზურო სიტყვებით აგინა ზ. ს-იას და იწევდა მისკენ საცემად. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ზ. ს-ია შეეცადა, გასცლოდა შემთხვევის ადგილს. კ. ჩ-ძე და მისი მეგობარი ა. ა-შვილი გამოეკიდნენ ზ. ს-იას იარაღიდან ჰაერში სროლით. კ. ჩ-ძემ იარაღი გადასცა ა. ა-შვილს, რომელმაც ისროლა ზ. ს-იას მიმართულებით. ტყვია მოხვდა ზ. ს-იას მარჯვენა დუნდულოს ზედა ნაწილში, შეაღწია მუცლის ღრუს ორგანოებში, გამოიწვია მწვავე სისხლნაკლებობა და მიღებული დაზიანების შედეგად ზ. ს-ია იმავე დღეს გარდაიცვალა ქ. თბილისის #1 საავადმყოფოში.

1994 წლის 29 სექტემბერს, ზემოაღნიშნული დანაშაულის შემდეგ, კ. ჩ-ძე მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

1994 წლის ოქტომბერში კ. ჩ-ძემ, დაუდგენელ პირთა დახმარებით, ქ. ქუთაისის მმჩის ბიუროს სახელით გააკეთა ყალბი დაბადების მოწმობა #320945, რომ, თითქოს, იგი არის გ. პ-იდი, ეროვნებით ბერძენი. აღნიშნული ყალბი დაბადების მოწმობის საფუძველზე 1994 წლის 10 ოქტომბერს შსს ქ. თბილისის სავიზო, საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილებაში მის სახელზე გაიცა პასპორტი, გ. პ-იდის გვარზე და იმავე თვეში, აღნიშნული ყალბი პასპორტის გამოყენებით, კ. ჩ-ძე, გ. პ-იდის გვარით, უკანონოდ გადავიდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე და საცხოვრებლად ჩავიდა საბერძნეთში.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. ჩ-ძეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, კ. ჩ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 13 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. ჩ-ძემ და დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. ბ-შვილმა.

მსჯავრდებულმა კ. ჩ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატმა ო. ბ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: კ. ჩ-ძეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ კ. ჩ-ძეს განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ბ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ უკანონო სასამართლოს მიერ სასჯელთა სრულად შეკრება, რადგან, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის განმარტებით, 2006 წლის 29 დეკემბრამდე ჩადენილ დანაშაულებზე სასჯელების სრულად შეკრების წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამსუბუქებს პირის მდგომარეობას; სასამართლო განაჩენის დადგენისას მტკიცებულებად იყენებს მოწმეების - დ. გ-იას, გ. მ-შვილის, დ. ჯ-შვილის და ე. ა-ოვის ჩვენებებს, რომელთაგან გინების ფაქტს არავინ ადასტურებს, გარდა ე. ა-ოვისა, რომლის ასავალ-დასავალი ვერ დადგინდა, რათა დაკითხულიყო სასამართლოზე; გასათვალისწინებელია, რომ ამ საქმის ორივე ძირითადი გამომძიებელი - შ. ც-ძე და თ. გ-იანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არიან მიცემულნი; საყურადღებოა ისიც, რომ დანაშაულის იარაღი არ არის ამოღებული; დაუდგენელია, სწორედ იმ იარაღიდან მოხდა თუ არა საბედისწერო გასროლა; უცნობია, მიეკუთვნებოდა თუ არა ავტომატი ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას.

კასატორის აზრით, კ. ჩ-ძის მიერ ზ. ს-იას გაყვანა ხალხისაგან მოფარებულ ადგილას გამორიცხავს მსჯავრდებულის მხრიდან ხულიგნობის ჩადენის მოტივსა და მიზანს; არც ერთი მოწმის ჩვენება არ წარმოადგენს კ. ჩ-ძის მიერ იარაღის უკანონოდ ტარებისა და ხულიგნობისათვის განაჩენის დადგენის აუცილებელ, უტყუარ მტკიცებულებას.

ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ კ. ჩ-ძე 1994 წლის 29 სექტემბერს, მომხდარი შემთხვევის შემდეგ, ჩვეულებრივი, სსრკ-ს პასპორტით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გავლით, გადავიდა რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში. იმ დროს რუსეთ-საქართველოს შორის იყო უვიზო მიმოსვლა, ასე, რომ მას საქართველოს საზღვარი არ დაურღვევია; მხოლოდ ამის შემდეგ დაამზადა მსჯავრდებულის პაპამ ყალბი დაბადების მოწმობა, საზღვარგარეთის პასპორტი და გაუგზავნა კ. ჩ-ძეს საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად; საქართველოს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მონაცემებით, 1995 წელს მათი მეშვეობით მოხდა ყალბი დაბადების მოწმობის ლეგალიზება; ამ მომენტისათვის კ. ჩ-ძე უკვე საბერძნეთში იყო და ასპარეზობდა სპორტული კლუბის - „ოლიმპიკოსის« სახელით; 1995 წლის 19 ოქტომბერს საბერძნეთის ქალაქ პირეას სასამართლოს განაჩენით დაისაჯა კ. ჩ-ძე სწორედ ამ ყალბი დაბადების მოწმობისა და პასპორტის გამოყენებისათვის; ე.ი. მას ყალბი დოკუმენტის დამზადება, შეძენა და შენახვა არ ჩაუდენია, ხოლო გამოყენებისათვის მან საბერძნეთში უკვე მოიხადა სასჯელი; გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ კ. ჩ-ძემ 1994 წლის ოქტომბერში ყალბი საბუთების გამოყენებით გადაკვეთა საქართველოს საზღვარი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზ. ს-იას ახლობლებს უკანონო დახმარებას უწევდა საქართველოს უშიშროების საბჭოს იმჟამინდელი მდივანი ნ. ს-აია; ბერძენი მოსამართლეების გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მკვლელობაში თანამონაწილეობის გამო არ მოითხოვა კ. ჩ-ძის ექსტრადიცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ი. ბ-იას მიაჩნია, რომ კ. ჩ-ძის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა, რის გამოც ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ფ. ს-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ო. ბ-შვილი შესაგებელით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ იგი უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, კერძოდ:

მოწმე დ. გ-იამ სასამართლოს განუმარტა, რომ აწ გარდაცვლილ ზ. ს-იას ახლდა ბაზრობაზე. მათ შორის ორი უცნობი პირი ჩადგა. ერთ-ერთმა ზ-ს ხელი მოუქნია, ხოლო მეორემ - ავტომატიდან სროლა დაიწყო. იქ რამდენიმე შეიარაღებული პირი მივიდა, ზ. ს-იამ მოახერხა გაქცევა და ხალხს შეერია. სროლა გაგრძელდა და მალევე შეიტყო, რომ ზ. ს-ია დაიჭრა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოწმე დ. ჯ-შვილმა განმარტა, რომ 1994 წლის 29 სექტემბერს, დილით იმყოფებოდა ისნის ბაზრობაზე, რომლის დაცვის სამსახურშიც მუშაობდა. დღის საათებში მოხდა აურზაური, გარბოდნენ ჩ-ძე და ა-შვილი. გაისმა სროლი ხმა. ზუსტად ახსოვს, რომ იმ დღეს კ. ჩ-ძეს ჰქონდა იარაღი და გარბოდა.

წინასწარი გამოძიებისას მოწმე ედუარდ ა-ოვმა განაცხადა, რომ მოესმა ავტომატიდან 3-4-ჯერ გასროლის ხმა. დაინახა, რომ ახალგაზრდა ბიჭს მისდევდნენ დაცვის სამსახურის თანამშრომლები - ზ. გ-მე და კ. ჩ-მე. ამ უკანასკნელს ხელთ ავტომატი ჰქონდა და ხმამაღლა იგინებოდა. საპირისპირო მხრიდან გამოჩნდა ა. ა-შვილი, რომელსაც კ. ჩ-მემ ავტომატი გადაუგდო. ა. ა-შვილმა იარაღი ფეხში მიართყა გაქვეულს, რა დროსაც გავარდა ტყვია და ახალგაზრდა ბიჭი წაიქცა. მოგროვდა ხალხი და დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში.

აღნიშნული ჩვენება საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე.

თავად მსჯავრდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ იჩხუბა ზ. ს-იასთან და შემდეგ დაედევნა მას. იარაღი ჰქონდა ა. ა-შვილს და მასვე გაუვარდა. კ. ჩ-მემ თავი დამნაშავედ ცნო ყალბი საბუთის გამოყენებასა და ჩხუბში.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 1995 წლის 2 ივნისის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კ. ჩ-მის მიმართ უნდა შეწყდეს საქმე სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნული მუხლები შეესაბამება საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 84-ე მუხლის 1-ელ ნაწილს, 213-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 214-ე მუხლს, რომლებითაც საბრალდებო დასკვნით დაკვალიფიცირდა კ. ჩ-მის ქმედება და ეს მუხლები სასჯელად ითვალისწინებდნენ თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს 5 წლის ვადით. დადგენილია, რომ კ. ჩ-მემ ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები ჩაიდინა 1994 წლის ოქტომბერში, «ამნისტიის შესახებ» ზემოაღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე და არც საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ კ. ჩ-მე იყენებდა ყალბ პირადობის მოწმობას 1995 წლის 2 ივნისის შემდეგ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 1995 წლის 2 ივნისის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ჩ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 1995 წლის 2 ივნისის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კ. ჩ-მის მიმართ შეწყდეს საქმე სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ კ. ჩ-მეს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#1819-აპ

24 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- ზ. მენიშვილი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. კ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 27 აგვისტოს განაჩენზე, რომლითაც ბ. კ-მე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

გასაჩივრებული განაჩენით ბ. კ-მეს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ე.ი. თავდასხმისათვის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქართ, ბინაში უკანონო

შეღწევით, ასევე, სხვისი მოძრავი ნივთის განადგურებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საყოველთაოდ საშიში საშუალებით.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

ბ. კ-ძესა და ფ. კ-ძის შვილს - მ. კ-ძეს შორის, ურთიერთშელაპარაკების გამო წლების განმავლობაში იყო კონფლიქტური ურთიერთობა. 2006 წლის 5 დეკემბერს, დაახლოებით 4 საათზე, ბ. კ-ძე თავის მეზობელ ვიტალი კ-ძესთან ალკოჰოლური სასმლის მიღების შემდეგ, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, იდგა თავისი საცხოვრებელი სახლის ჭიშკართან, რა დროსაც იქვე ჩაიარა მ. კ-ძემ. ბ. კ-ძემ აგრესიული ტონით შესთავაზა მას გაერკვიათ მათ შორის არსებული კონფლიქტური სიტუაცია, რაზედაც მ. კ-ძემ უპასუხა, რომ ესაუბრათ მეორე დღეს, როდესაც იგი ფიზიკური იქნებოდა. მისი პასუხით განაწყენებულმა ბ. კ-ძემ განიზრახა მ. კ-ძის ოჯახზე თავდასხმა მათი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა და განადგურების მიზნით.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბ. კ-ძე შეიარაღდა მამის - გ. კ-ძის კუთვნილი ორლულიანი სანადირო თოფით და შიდა სასოფლო გზით წავიდა მ. კ-ძის სახლის მიმართულებით. სახლთან მიახლოებისას იგი გზიდან გადავიდა ვ. კ-ძის ვენახში, ხოლო შემდეგ - ჯ. გ-ძის მიტოვებულ საკარმიდამო ნაკვეთში და დაახლოებით 18 საათზე მივიდა მ. კ-ძის მშობლების სახლის ეზოსთან და თანაქონი თოფის რამდენიმე გასროლით ჩამსხვრია ამ უკანასკნელის საცხოვრებელი სახლის ფანჯრის მინები, რის შედეგადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით შიშის ქვეშ მოაქცია იქ მყოფები: ფ. კ-ძე, რ. კ-ძე და მ. ნ-ძე, რომლებსაც დაეუფლათ განცდა, რომ მათზე განხორციელდებოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ძალადობის და მოსალოდნელი საფრთხისაგან თავის დასაღწევად მათ დატოვეს თავიანთი საცხოვრებელი სახლი და თავი შეაფარეს მეზობლად მცხოვრებ ა. კ-ძის ოჯახს, რითაც ბ. კ-ძემ გაიადვილა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა, შეაღწია მ. კ-ძის საცხოვრებელ სახლში და დაეუფლა ოჯახის კუთვნილ თანხას - 141 ლარს. იმავედროულად მან საშიში საშუალებით - სანადირო თოფიდან რამდენჯერმე გასროლით და იმავე თოფის კონდახის გამოყენებით, გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გაანადგურა, ე.ი. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის უვარგისი გახადა ფ. კ-ძის სახლში არსებული სხვადასხვა დასახელების ავეჯი და საოჯახო ნივთები, საერთო ღირებულებით 2031,5 ლარი, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულ ფ. კ-ძეს.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 აპრილის განაჩენით ბ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აპელანტმა, მსჯავრდებულმა ბ. კ-ძემ თავისი სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში, კვალიფიკაციის ნაწილში ცვლილების შეტანა და, შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 27 აგვისტოს განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი მოითხოვს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, ხოლო სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით - მინიმალური სასჯელის დანიშვნას და აღნიშნულის პირობითად ჩათვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ ბ. კ-ძემ განახორციელა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში თავდასხმა ა. კ-ძის ოჯახზე მათი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. დადგენილია, რომ ბ. კ-ძესა და ფ. კ-ძის შვილს - მ. კ-ძეს შორის წლების განმავლობაში იყო კონფლიქტური სიტუაცია. 2006 წლის 5 დეკემბერს მათ შორის მოხდა შეკამათება, რაზეც განაწყენდა ბ. კ-ძე, რომელიც შეიარაღდა მამის კუთვნილი ორლულიანი სანადირო თოფით და წავიდა მ. კ-ძის სახლის მიმართულებით, მივიდა სახლის ეზოსთან და თანაქონი თოფის რამდენიმე გასროლით ჩამსხვრია სახლის ფანჯრის მინები. პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულ ფ. კ-ძის ჩვენება იმასთან დაკავშირებით, რომ სახლიდან დაკარგული ფული წაიღო ბ. კ-ძემ, საქმის მასალებით არ დასტურდება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახლიდან არ დაკარგულა არც ერთი ნივთი. სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ამასთან, პალატა თვლის, რომ ბ. კ-ძემ თავისი ქმედებით დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოიხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა ძალადობით, იარაღის გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ბ. კ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პალატას ასევე მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებებით ბ. კ-ძის მიერ სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით ჩადენილი ქმედება დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ბ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის II ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და აღნიშნული მუხლით მოსახდელად უნდა განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. კ-ძეს, სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აგვისტოს განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ბ. კ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. კ-ძეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის II ნაწილით დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და აღნიშნული მუხლით მოსახდელად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. კ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#1842-აპ

15 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ხ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 თებერვლის განაჩენით ვ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მესამე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,109-ე მუხლის «თ», «კ» ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლს საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, ვ. ხ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 15 ოქტომბერს, დაახლოებით 20.00 საათზე, ვ. ხ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა პირთა ჯგუფს. ისინი მივიდნენ თბილისში, კოსტავას ქ. #67-ში მდებარე ინტერნეტ-კაფესთან, სადაც ნაწილი დარჩა გარეთ, ხოლო რამდენიმე პირმა კაფეში მომუშავე ოპერატორს - ვ. კ-ინს დაუწყო ხმამაღალი კამათი და მოსთხოვა საქმის გასარჩევად ქუჩაში გასვლა. შექმნილ ხმაურზე თავისი სამუშაო კაბინეტიდან გამოვიდა ინტერნეტ-კაფეს მფლობელი თ. წ-ია, რომელმაც მოუწოდა ახალგაზრდებს

წესრიგისაკენ და მოსთხოვა იქაურობის დატოვება, რამაც გამოიწვია მისული პირების უკმაყოფილება, რაც გამოიხატა თ. წ-ისა და მისი შვილის - ლ. წ-ის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფაში, რის აღსაკვეთადც მამა-შვილმა წ-იებმა და კაფეში სტუმრად მყოფებმა - ა. მ-შვილმა, პ. ფ-ავამ, თ. გ-იანმა და თ. ლ-ძემ შეძლეს ახალგაზრდების ქუჩაში გაყვანა. მათ შეუერთდა გარეთ მომლოდინე ვ. ხ-ძე დანარჩენ პირებთან ერთად და მამა-შვილ წ-იებს დაუწყეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. ვ. ხ-ძემ და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირებმა, მოქმედებდნენ რა ერთიანი განზრახვით, ხულიგნური ქვენაგრძობით, აქტიური წინააღმდეგობის გამო, გადაწყვიტეს ხულიგნობის აღმკვეთი პირის - ლ. წ-ის განზრახ მკვლელობა. ამ მიზნით ლ. წ-ია მოაქციეს ალყაში, რითაც შექმნეს განზრახვის სისრულეში შეუფერხებლად მოყვანის წინაპირობა. ვ. ხ-ძემ და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირებმა ლ. წ-ის დანა დაარტყეს გულმკერდის მარცხენა ნახევარში, რითაც მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება, ასევე დანის დარტყმით მიაყენეს მარჯვენა ხელის მესამე თითზე ნაკვეთი ჭრილობა, რის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვინაიდან დაჭრილი ლ. წ-ია სასწრაფო დახმარების ავტომანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შედეგად შეუნარჩუნდა სიცოცხლე. მიუხედავად ლ. წ-ის მიმართ განხორციელებული ძალადობისა, ვ. ხ-ძესთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირებმა ჯგუფურად განაგრძეს ხულიგნობის აღმკვეთი პირის - თ. წ-ის ცემა, რა დროსაც გამოძიებით დაუდგენელმა ერთ-ერთმა პირმა ხულიგნური ქვენაგრძობით, განზრახ მოკვლის მიზნით, მჩხველტავ-მჭრელი საგანი დაარტყა თ. წ-ის კისრის არეში, რითაც მას დაუზიანა საძილე არტერია და ინტენსიური სისხლდენის გამო, იგი ადგილზე გარდაიცვალა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ვ. ხ-ძეს მსჯავრიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტები, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

ვ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «ე» ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ვ. ხ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან - 2006 წლის 2 აგვისტოდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალა დაკავებულად ყოფნის დრო 2006 წლის 27 თებერვლიდან 2006 წლის 1 მარტამდე - 2 დღე.

ნივთმტკიცება - სისხლისმაგვარი ლაქების ანაწმენდები, 3 ცალი თმის მაგვარი ბეწვი, რომლებიც ინახება თბილისის შს მთავარ სამმართველოში, უნდა განადგურდეს; «სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი, რომელიც ინახება თბილისის შს მთავარ სამმართველოში, უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს; თსსუ-ს ცენტრალური კლინიკიდან ამოღებული ლ. წ-ის ტანსაცმელი: ჯინსის შარვალი, ტყავის ქამარი, შავი ვილვეტის ჟილეტი, ლურჯი პერანგი, შავი მაისური, თეთრი მაისური, ბოტასი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზიდან ამოღებული ლ. წ-ის ნაჭრის ქურთუკი, პერანგი, თეთრი მაისური, ჯინსის შარვალი, ტყავის ქამარი, ქვედა საცვალი, წინდები, ბოტასი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

მსჯავრდებულ ვ. ხ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი კ. კ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს, რომ საქართველოს სსსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილისა და მე-7 მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი სასამართლოზე დაკითხული დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებები, გაუქმდეს გასაჩივრებული განაჩენი და ვ. ხ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე; იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ხ-ძე იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლით და განესაზღვროს მინიმალური სასჯელი ან გაუქმდეს განაჩენი და საქმე გაიგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის იმავე სასამართლოში. კასატორის მოსაზრებით, მსჯავრდებულ ვ. ხ-ძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არის უკანონო, აგებულია დაზარალებულისა და მოწმეების მიერ მიცემულ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე, განხილულია პროცესუალური დარღვევებით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა I-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლის მიხედვითაც, ვ. ხ-ძის მიერ საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის «თ», «კ» ქვეპუნქტებითა და 239-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა დადასტურებულია შემდეგი მტკიცებულებებით:

დაზარალებულ ლ. წ-ის ჩვენებით, 2005 წლის 15 ოქტომბერს, სადამოს, იგი მეგობართან - ა. მ-შვილთან ერთად მივიდა მამის - თ. წ-ის კუთვნილ ინტერნეტ-კაფეში, მდებარე თბილისში, კოსტავას

ქ. #67-ში, სადაც დახვდა მამამისი და ოპერატორი ვ. კ-ინი. ცოტა ხნის შემდეგ მათ შეუერთდნენ პ. ფ-ავა და თ. გ-იანი. ოთახში ყოფნისას, დაახლოებით 15-20 წუთში, დარბაზიდან შემოესმათ ხმამაღალი საუბარი და უწმაწური სიტყვები ვ. კ-ინის მისამართით, რის გასარკვევად იგი გავიდა ოთახიდან და დაინახა, რომ რამდენიმე მისთვის უცნობი პირი, რომელთა შორის განსასჯელი არ იყო, ეკამათებოდა ოპერატორს, მამამისი კი ცდილობდა სიტუაციის განსამუხტად მათ დაწყენებას და სთხოვდა, კაფე დაეტოვებინათ, რასაც მოჰყვა უცხო პირთა მხრიდან აგრესია, გაქეზ-გამოწევა და ყველანი ასასვლელი კიბეებით გავიდნენ ქუჩაში, სადაც დახვდათ კიდევ რამდენიმე პირი, დაახლოებით 8 კაცი, მათ შორის - განსასჯელი ვ. ხ-ძე, რომლებმაც ინტერნეტ-კაფეს წინ, ტროტუარზე, დაუწყეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, რა დროსაც უცხო პირები გაიყვნენ ორ ჯგუფად, ერთმა ნაწილმა მამამისი გაიყვანა მარცხენა მხარეს, ცირკის მიმართულებით, მასთან კი დარჩა 3-4 ახალგაზრდა ბიჭი, რომლებიც მის წინ წრიულად განლაგდნენ და დაუწყეს ჩხუბი, ისე, რომ არ ჰქონდა მამასთან მიახლოებისა და მისთვის დახმარების გაწევის საშუალება. ერთ-ერთის ხელში შენიშნა მისკენ მოქნეული დანა. ჩხუბი გაგრძელდა დაახლოებით 15-20 წუთს, რა დროსაც დაიჭრა, მაგრამ დანის დარტყმა ვერ იგრძნო. თავდამსხმელები უცებ გაიქცნენ სხვადასხვა მიმართულებით და დაინახა დაჭრილი მამამისი, რომელიც მოდიოდა მისკენ. ამის შემდეგ მისმა მეგობრებმა გამოიძახეს საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარება, რომელმაც გადაიყვანა იგი საავადმყოფოში, სადაც შეიტყო მამის გარდაცვალების შესახებ.

მისივე ჩვენებით, ვ. ხ-ძე ჩხუბის დროს იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, იდგა გარეთ, სადარბაზოსთან და მონაწილეობდა ჩხუბში, მაგრამ მის ხელში დანა არ შეუნიშნავს, არ დაუნახავს ასევე მამისთვის ან მისთვის დანის დარტყმის მომენტი და შესაბამისი პირიც არ დაუფიქსირებია.

საქმეში არსებული 2006 წლის 24 აგვისტოს პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით, დაზარალებულმა ლ. წ-იამ თბილისის #5 საპრობილეში მისთვის წარდგენილი 4 პირიდან ამოიგნო ვ. ხ-ძე, რომელიც მონაწილეობდა 2005 წლის 15 ოქტომბერს, დაახლოებით 20.00 საათზე, კოსტავას ქუჩაზე მომხდარ ჩხუბში, რა დროსაც თვითონ დაიჭრა, ხოლო მამამისი - თ. წ-ია მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. დაზარალებულს ამოცნობილი პირი ახსოვს, რომ იგი იმყოფებოდა იქ, მოჩხუბრეთა შორის, თუმცა მას არ ახსოვს, დანა ან სხვა რაიმე იარაღი ეჭირა თუ არა ხელში. ასევე არ ახსოვს, ამ პირმა დაჭრა თუ არა ვინმე.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ვ. ზ-შვილის ჩვენებით, აწ გარდაცვლილი თ. წ-ია იყო მისი მეუღლე. 2005 წლის 15 ოქტომბერს, 18.00 საათზე, ისინი ერთად გავიდნენ სახლიდან, თ. წავიდა კოსტავას ქ. #67-ში მდებარე ინტერნეტ-კაფეში, თვითონ კი - პირად საქმეებზე. მათი შვილი - ლ. მეგობრებთან ერთად იყო ინტერნეტ-კაფეში, სადაც შევიდა რამდენიმე პირი, რომლებსაც შეკამათება მოუხდათ იქ მომუშავე ოპერატორ ვ. კ-ინთან. კამათი გადაიზარდა ხელჩართულ ჩხუბში. სიტუაციის განმუხტვასა და მოჩხუბრების დაწყებას შეეცადნენ მისი მეუღლე და შვილი მეგობრებთან ერთად, რაც ვერ შეძლეს და ჩხუბი გაგრძელდა ქუჩაში, რა დროსაც დაჭრეს ლ., რომელიც მოათავსეს საავადმყოფოში, ხოლო თ. წ-ია მიყენებული ჭრილობის გამო ადგილზე გარდაიცვალა.

გ. ზ-შვილის ჩვენებით, შემთხვევის თვითმხილველი მოწმეების: ა. მ-შვილის, თ. ლ-ძისა და თ. გ-იანის, ასევე, ლ. წ-იას გადმოცემით მისთვის ცნობილი გახდა, რომ განსასჯელი ვ. ხ-ძე ნამდვილად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, მოჩხუბრეთა შორის და ეჭირა დანა.

მოწმე ვ. კ-ინის ჩვენებით, მუშაობდა ოპერატორად თბილისში, კოსტავას ქ. #67-ში მდებარე ინტერნეტ-კაფეში, რომელიც ეკუთვნოდა თ. წ-იას. განსასჯელ ვ. ხ-ძის ამოცნობა არ შეუძლია, მაგრამ დანამდვილებით შეუძლია მითითება, რომ განსასჯელი არ არის ის პირი, ვინც ცდილობდა თ. წ-იასათვის დანის დარტყმას.

მოწმე ა. მ-შვილის ჩვენებით, განსასჯელი ვ. ხ-ძე ინტერნეტ-კაფეში არ შეუნიშნავს, მაგრამ იგი დანამდვილებით იმყოფებოდა იმ ჯგუფში, რომელიც ეჩხუბებოდა ლ. წ-იას ქუჩაში, სადარბაზოსთან. მის ხელში დანა არ დაუნახავს და არც იმის თქმა შეუძლია, თუ ვის ეჭირა კონკრეტულად დანა და ვინ დაჭრა თ. და ლ. წ-იები.

მოწმე თ. ლ-ძის ჩვენებით, 2005 წლის 15 ოქტომბერს, 20.00 საათზე, მივიდა მეგობართან - ვ. კ-ინთან სამსახურში, კოსტავას ქ. #67-ში მდებარე ინტერნეტ-კაფეში, სადაც ნახა, რომ ეს უკანასკნელი, ა. მ-შვილი, თ. და ლ. წ-იები ეკამათებოდნენ მისთვის უცნობ სამ პირს. კამათი გადაიზარდა ჩხუბში და ყველანი გავიდნენ გარეთ, სადაც დახვდათ კიდევ 5 კაცი. დაიწყო ხელჩართული ჩხუბი, რა დროსაც რამდენიმე პირმა თ. წ-ია გაიყვანა კაფედან მოშორებით, 4 კაცმა კი ლ. წ-იას დაუწყო ცემა, მათ შორის იყო განსასჯელი ვ. ხ-ძეც დანით ხელში და იქნევდა აქეთ-იქით. ცოტა ხანში ყველანი გაიქცნენ და იგი მაშინვე წავიდა თ. წ-იას მიმართულებით, რომელიც დაჭრილი იყო კისრის არეში. იგი დაეცა და გარდაიცვალა 2 წუთში, ასევე ცუდად გახდა ლ. წ-ია, რომელსაც მასური აუწია და ნახა, რომ ისიც დაჭრილი იყო, ამასობაში ადგილზე მივიდნენ პოლიცია და სასწრაფო დახმარება, რომლის მანქანითაც ლ. გადაიყვანეს საავადმყოფოში.

მოწმემ ჩვენებით კატეგორიულად დაადასტურა განსასჯელ ვ. ხ-ძის მონაწილეობა ჩხუბში, რომ მას ხელში ეჭირა დანა, რომელსაც იქნევდა ლ. წ-იას მიმართულებით, მაგრამ დარტყმის მომენტი არ დაუნახავს, არც ის შეუნიშნავს, თუ ვინ დაჭრა თ. წ-ია.

საქმეში არსებული 2006 წლის 24 აგვისტოს პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით დადგენილია, რომ მოწმე თ. ლ-ძემ თბილისის #5 საპრობილეში მისთვის წარდგენილი 4 პირიდან ამოიგნო განსას-

ჯელი ვ. ხ-მე, რომელსაც ეჭირა დანა და მონაწილეობდა 2005 წლის 15 ოქტომბერს, დაახლოებით 20.00 საათზე, კოსტავას ქუჩაზე მომხდარ ჩხუბში, რა დროსაც დაიჭრა ლ. წ-ია, ასევე დაიჭრა თ. წ-ია, რომელიც მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

მოწმე პ. ფ-ავას ჩვენებით, 2005 წლის 15 ოქტომბერს, საღამოს 20.00 საათზე, თ. გ-იანთან ერთად მივიდა ლ. წ-იასთან, მისი მამის - თ. წ-იას კუთვნილ ინტერნეტ-კაფეში, მდებარე თბილისში, კოსტავას ქ.#67-ში, სადაც დახვდათ ა. მ-შვილი. რამდენიმე წუთში შესასვლელი ოთახიდან შემოესმათ ხმაური, რისი მიზეზის გასარკვევად გავიდნენ ლ. წ-ია და ა. მ-შვილი. ხმა თანდათან გაძლიერდა, რის შემდეგ თვითონაც გავიდა ოთახიდან და ნახეს, რომ ინტერნეტ-კაფეში იმყოფებოდა მისთვის უცნობი რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი, რომლებიც ჩხუბობდნენ, ხოლო თ. წ-ია კი აწყნარებდა და გაჰყავდა გარეთ. თავდამსხმელების ხელში დანა არ დაუნახავს, არც განსასჯელ ვ. ხ-მის ამოცნობა შეუძლია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დასტურდება მხოლოდ ვ. ხ-მის მიერ შემთხვევის ადგილზე ყოფნისა და სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ეპიზოდი.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამავე მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ვ. ხ-მის მიერ ხულიგური ქვენაგრძნობით, დანით, ლ. წ-იას განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი. მსჯავრდების აღნიშნულ ეპიზოდს საფუძვლად უდევს მხოლოდ თ. ლ-მის სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენება, რომლის თანახმადაც, თ. ლ-მეს არ დაუნახავს ვ. ხ-მის მიერ ლ. წ-იას დანით დაჭრის ფაქტი. მოწმის მიერ მითითებული ის გარემოება, რომ ვ. ხ-მეს ეჭირა დანა და იქნევდა ლ. წ-იას მიმართულებით, არ არის საკმარისი და უტყუარი მტკიცებულება აღნიშნული მსჯავრდების ეპიზოდის დასადასტურებლად.

საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ვ. ხ-მეს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «ე» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში უნდა შეწყდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. მსჯავრდებულ ვ. ხ-მეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ვ. ხ-მეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «ე» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში შეწყდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ ვ. ხ-მეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით

განჩინება

#1570-აპ

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
ი. ტყემელაშვილი,
ზ. მენიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. კ-შვილის, დაზარალებულ ლ. ფ-აიასა და დაზარალებულ ხ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. რ-მის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

აბაშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 მარტის განაჩენით მ. გ-ია ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მსჯავრდებულმა მ. გ-იამ, გამოძიებით დადგენილ და დაუდგენელ პირებთან ერთად, 2006 წლის 28 აპრილს, ღამის საათებში (დაახლოებით 22.00 საათზე), აბაშის რაიონის სოფელ . . . , ზ. თ-შვილის სახლთან მყოფმა, პირადი განაწყენების ნიადაგზე, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ავტომატური იარაღითა და საბრძოლო მასალით (ვაზნებით) აღჭურვილმა, ჯგუფური ურთიერთწინასწარი შეთანხმებით, საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დამრღვევი და აშკარა უპატივცემულობის გამოხატვითი განზრახვი მოქმედებით, უხამსი ბილწსიტყვაობით სახალხოდ იგინა ზ. თ-შვილისა და მისი ოჯახის წევრების მისამართით. მსჯავრდებულის მხრიდან უხამს ბილწსიტყვაობას და შლეგურ გამოხდომებს ჰქონდა ჯიუტად შეუწყვეტელი ხასიათი, გრძელდებოდა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში და იწვევდა მოქალაქეთა გულისწყრომას. ხულიგნობის მომენტში, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მოახდინა რამდენიმე გასროლა, რითაც სახლის ორი ფანჯრის ჩარჩოს, ფარდის, ტანსაცმლის, საძინებელი ოთახის კარადის, საწოლის, კედლისა და ტიხრის დაზიანებით დაზარალებულს მიაყენა 412 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მანვე, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა კუთხვილლულიან კომბინირებულ თოფს, რაც 2006 წლის 5 მაისს, დაახლოებით 14.00 საათზე, აბაშის რაიონის სოფელ . . . მდებარე მისივე საცხოვრებელი ბინიდან, ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა პოლიციის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლების მიერ და ჩამოერთვა.

აპელანტმა, მსჯავრდებულმა მ. გ-იამ თავისი სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში შესაბამისი ცვლილების შეტანით, მისთვის მსჯავრად შერაცხულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილითა და ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებებში უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებით - სასჯელის განსაზღვრა მატერიალური კანონის სანქციის ფარგლებში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენით მ. გ-ია გამართლდა სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში; მ. გ-იას მოეხსნა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი, როგორც ტექნიკური უზუსტობით ზედმეტად შერაცხული. მ. გ-ია ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნ. კ-შვილი, დაზარალებული ლ. ფ-აია და დაზარალებული ხ. თ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. რ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და საქმის ახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნებას, იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს არასწორად მოეხსნა სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და აღნიშნული მუხლებით დანიშნული სასჯელები.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპე-

ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის უნდა გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოთხოვნას მ. გ-იას ქმედების საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირების შესახებ. სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება დანაშაულია იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულმა ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქართველოს სსკ-ში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში მნიშვნელოვან ზიანად ითვლება, თუ დაზიანებული ნივთის ღირებულება აღემატება 150 ლარს. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულს მიადგა 412 ლარის ზიანი. დადგენილია, რომ მ. გ-იასთან ერთად ავტომატური ცეცხლსაროლი იარაღიდან სახლის მიმართულებით ასევე ისროდა გამოძიებით დაუდგენელი პიროვნება. ამასთან, საქმის მასალებით ვერ დგინდება, თუ რა როლდენობის ზიანი მიადგა დაზარალებულს უშუალოდ მ. გ-იას ქმედების შედეგად. სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მ. გ-ია გამართლდა სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მ. გ-იას არასწორად მოუხსნა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი. პალატა მიიჩნევს, რომ როდესაც პირის მიერ ჩადენილია ხულიგნობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მისი ქმედება გარდა სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ასევე, უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვის დროს, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, უნდა გაითვალისწინოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მითითება და მის საფუძველზე მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. კ-შვილის, დაზარალებულ ლ. ფ-აიასა და დაზარალებულ ხ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. რ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენი მ. გ-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ხულიგნობა

განჩინება

#318-აპ

23 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. წ-აიას ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. გ-ძის, დაზარალებულების - ქ. ბ-ძისა და ზ. დ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 იანვრის განაჩენზე, რომლითაც ა. წ-აია ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის განაჩენით ა. წ-ია ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით, 239-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 4 ნოემბრიდან.

იმავე განაჩენით გ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის II ნაწილის „ა« და 239-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დამატა 2004 წლის 18 მაისის განაჩენით დანაშაული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 3 თვე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე გ. ა-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 4 ნოემბრიდან.

განაჩენით ა. წ-იას მსჯავრი დაედო ხულიგნობისათვის, ე.ი. ქმედებისათვის, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, ასევე საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვა, ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ა-ძე 1998 წელს გაასამართლა მოსკოვის მუნიციპალურმა სასამართლომ რუსეთის სსკ-ის 162-ე მუხლის II ნაწილის „ა«, „ვ«, „გ« ქვეპუნქტებით, 222-ე მუხლის I ნაწილით, 33-ე მუხლით, 327-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. 1999 წლის 12 თებერვალს ხონის რაიონის სასამართლოს დადგენილებით აღნიშნული მუხლები გადაუკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 96-ე მუხლის I-IV პუნქტებზე, 238-ე მუხლის I ნაწილზე, 213-ე მუხლის I ნაწილზე (ძვ. რედაქცია) და სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მას სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 18 მაისის განჩინებით, საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენებით, იგი სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლდა პირობით, ვადამდე - 2 წლითა და 3 თვით ადრე.

სასჯელის მოხდის შემდეგ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და 2006 წლის 2 თებერვალს ყაჩაღური გზით გატაცებული მოქალაქე ზ. ღ-ძის საკუთრებაში არსებული „მერსედისის« მოდელის ავტომანქანის დაბრუნების სანაცვლოდ, ზ. ღ-ძის მიუღღს მოსთხოვა 2000 აშშ დოლარის გადახდა. უარის მიღების შემდეგ გ. ა-ძე მას უკავშირდებოდა და სისტემატურად სთხოვდა ფულის გადახდას.

2006 წლის 16 ოქტომბერს გ. ა-ძე და ა. წ-ია იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩაზე მდებარე ავეჯის ბაზრობაზე, სადაც შეხვდნენ თავიანთ ნაცნობ ცოლ-ქმარს - ქ. ბ-ძესა და ზ. ღ-ძეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. მათი დანაშაულებრივი ქმედება გრძელდებოდა დაახლოებით 10 წუთს, რითაც დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და მათ გამოხატეს აშკარა უპატივცემულობა ბაზრობაზე მომუშავე პერსონალისა და სხვა მოქალაქეების მიმართ.

ა. წ-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა «მაკაროვის» სისტემის ერთი პისტოლეტი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა და ინახავდა თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ... ბინა #51-ში, რაც ამოღებულ იქნა 2006 წლის 4 ნოემბერს მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს: სახელმწიფო ბრალმდებელმა მ. გ-შვილმა, დაზარალებულებმა - ქ. ბ-ძემ, ზ. ღ-ძემ, მსჯავრდებულ ა. წ-იას ადვოკატმა გ. გ-ძემ და მსჯავრდებულმა გ. ა-ძემ.

აპელანტმა - სახელმწიფო ბრალმდებელმა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, რადგან გამოძიების პროცესში მოპოვებული, სასამართლოში წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები სრულად და უტყუარად ადასტურებენ გ. ა-ძის მიმართ ბრალდებით წარდგენილი დანაშაულის ჩადენას, დანაშაულს, გათვალისწინებულს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I და II ნაწილებით. დანიშნული სასჯელიც არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. პროკურორმა ითხოვა ცვლილების შეტანა გასაჩივრებულ განაჩენში კვალიფიკაციისა და სასჯელის შეცვლის მიზნით და გ. ა-ძის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის I და II ნაწილებით, 239-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და სასჯელად 18 წლისა და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

აპელანტებმა, დაზარალებულებმა - ქ. ბ-ძემ და ზ. ღ-ძემ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის გამკაცრების მიზნით. ასევე ითხოვეს მათი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება და მსჯავრდებულებისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 7000 ლარის გადახდის დაკისრება.

აპელანტმა - მსჯავრდებულ ა. წ-იას ადვოკატმა გ. გ-ძემ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა კვალიფიკაციის შეცვლის მიზნით, კერძოდ: ა. წ-იას ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და

236-ე მუხლის I ნაწილით, ხოლო 236-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში - ა. წ-აიას გამართლება და სასჯელის შემცირება.

აპელანტმა - მსჯავრდებულმა გ. ა-მემ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ასევე ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა კვალიფიკაციისა და სასჯელის შეცვლის მიზნით, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქ/პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში - გამართლება, ხოლო საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის - სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ა. წ-აია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით მას სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ა-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის II ნაწილის „ა» და 239-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით მას სასჯელად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, დაემატა 2004 წლის 18 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 3 თვე და გ. ა-მეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ა-მესა და ა. წ-აიას დაზარალებულების - ქ. ბ-მისა და ზ. ღ-მის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, სოლიდარულად დაეკისრათ 2000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. წ-აიას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. გ-მემ, დაზარალებულმა - ქ. ბ-მემ და ზ. ღ-მემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა გ. გ-მემ ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის II ნაწილით შერაცხული ბრალდებების ამორიცხვა.

დაზარალებულმა საჩივრით ითხოვეს ღმობიერების მოტივით განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულთათვის სასჯელის გამკაცრება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ დაზარალებულები: ქ. ბ-მისა და ზ. ღ-მის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ა. წ-აიას ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. გ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ გ. ა-მის მიმართ დანიშნული სასჯელი არის სამართლიანი, შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, შესაბამისად არ არსებობს დაზარალებულების საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ ა. წ-აიას ადვოკატ გ. გ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს უკანონო, დაუსაბუთებელ განაჩენში ცვლილების შეტანისა და მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდების ამორიცხვის შესახებ.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულების - ქ. ბ-მისა და ზ. ღ-მის, მოწმეების: ი. გ-მის, ხ. ბ-შვილის, ე. ც-მის, ნ. მ-შვილის ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ა. წ-აიას 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მსჯავრდების ნაწილში პალატას მიაჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: სასამართლომ, ა. წ-აიას სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებას

საფუძვლად დაუდო ქ. ბ-ძის და ზ. ღ-ძის ჩვენება, სადაც ისინი მიუთითებენ, რომ, როდესაც ა. წ-აია მივიდა მათთან თხოვნით, რომ არ ეჩივლათ, სწორედ მაშინ დაინახეს, რომ წ-აიას ქამარში ჩადებული ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი. პალატას მიაჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნული ჩვენებები საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს, აღნიშნული იარაღი ამოღებული არ არის, მასზე არ ჩატარებულა ბალისტიკური ექსპერტიზა. ასევე, საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება იმისა, რომ წ-აიას სახლიდან ამოღებული იარაღი და ის იარაღი რომელიც წ-აიას ქამარში ჰქონდა ჩადებული, არის ერთი და იგივე. საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ«, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად».

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ა. წ-აიას მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდება, მტკიცებულებების უქონლობის გამო, განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს ა. წ-აიას მიმართ დანიშნულ სასჯელში, კერძოდ მას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I ნაწილით საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, რომლითაც მსჯავრდებულ ა. წ-აიასა და გ. ა-ძეს დაზარალებულების: ქ. ბ-ძისა და ზ. ღ-ძის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, სოლიდარულად დაეკისრათ 2000 ლარის გადახდა, პალატის აზრით, არასწორია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, ზ. ღ-ძეს წინასწარ გამოძიებაში სარჩელი არ წარუდგენია და არც სამოქალაქო მოსარჩელედ არის ცნობილი. სარჩელი გამოძიებაში წარადგინა მხოლოდ ქ. ბ-ძემ. დაზარალებულებს თბილისის საქალაქო სასამართლოში კამათის სტადიაზე სარჩელის ნაწილში თავიანთი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ. საქართველოს სსკ-ის 540-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის გამო გადასახდელის თანხა ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ა. წ-აიასა და გ. ა-ძესათვის სოლიდარულად დაზარალებულების სასარგებლოდ, დაეკისრებინა 2000 ლარის გადახდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაზარალებულების ქ. ბ-ძის და ზ. ღ-ძის სასარგებლოდ სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში უნდა გაუქმდეს და სამოქალაქო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ განაჩენი გ. ა-ძის მიმართ კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა« და „დ« ქვეპუნქტებით, 568-ე, 567-ე მუხლებით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

დაზარალებულების - ქ. ბ-ძისა და ზ. ღ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ა. წ-აიას ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. გ-ძის, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. წ-აიას სასიკეთოდ:

ა. წ-აიას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ა. წ-აიას საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I ნაწილით საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოქალაქო სარჩელი არ დაკმაყოფილდეს და შესაბამისად განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დაზარალებულების - ქ. ბ-ძისა და ზ. ღ-ძის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 2000 ლარის გადახდის თაობაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.